ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი | № 273 (13965) | ოთხშაბათი, 22 ნოემბერი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

# საბჭოთა მილიციის მუშაკებს

ძვირფასო ამხანაგებო!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ ულოცავენ მილიციის მუშაკებს საბჭოთა მილიციის შექმნის 50 წლისთავს.

საბჭოთა მილიცია, რომელიც შეიქმნა ვ. ი. ლენინის ინიციატივით როგორც ახალი საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი იარაღი, საბჭოთა წესრიგისა და სოციალისტური კანონიერების დაცვაში, თავის მუშაობაში ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტიის ხაზით და აი უკვე 50 წელია პარტიის ხელმძღვანელობით საპატიო და პასუხსაგებ სამსახურს ეწევა სოციალისტური მართლწესრიგის დაცვის საქმეში, ფხიზლად იცავს სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესებსა და საბჭოთა მოქალაქეების კანონიერ უფლებებს, აქტიურად მონაწილეობს ახალი ადამიანის აღზრდაში. სამსახურებრივი მოვალეობის მამაცური და თავდადებული შესრულებით მილიციამ ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მადლობა და პატივისცემა დაიმსახურა.

საბჭოთა მილიცია ჩვენი სახელმწიფოს ნამდვილად სახალხო ორგანოა. იგი ემსახურება ხალხს და ეყრდნობა მთელი საბჭოთა ხალხის დახმარებასა და მხარდაჭერას. მილიციის მუშაკები კვლავაც ფხიზლად უნდა იდგნენ სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის სადარაჯოზე, განუხრელად გააფართოონ და განამტკიცონ კავშირი საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, აქტიურად გამოიყენონ სამართალდამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში მშრომელთა კოლექტივების ავტორიტეტი და გავლენა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ რწმენას, რომ მილიციის მუშაკები ძალ-ღონეს არ დაიშურებენ, რათა ღირსეულად შეასრულონ თავიანთი მოვალეობა ხალხისა და სამშობლოს წინაშე.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, შემდგომ წარმატებებს თქვენს კეთილშობილურ საქმეში, ჯანმრთელობასა და დიდ ბედნიერებას.

სახელი და დიდება საბჭოთა მილიციას — სოციალისტური მართლწესრიგის საიმედო დამცველს!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი | სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი | სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

# საქართველოს სსრ მილიციის მუშაკებს

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო მხურვალედ ულოცავენ რესპუბლიკის მილიციის მუშაკებს საბჭოთა მილიციის 50 წლისთავს და უსურვებენ ახალ წარმატებებს ძნელ და საპატიო მუშაობაში, რომლის მიზანია სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცება.

თავისი არსებობის მანძილზე საბჭოთა მილიციამ, რომელიც ხალხის წიაღიდან გამოვიდა, განვლო ბრძოლისა და გამარჯვებათა სახელოვანი გზა და მრავალი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერა ჩვენი დიადი სამშობლოს გმირულ მატიანეში.

მუშურ-გლეხური მილიცია, მისი სახელოვანი საბრძოლო ტრადიციები გამოიჭედა სოციალისტური მშენებლობის წლებში, ჩვენი საზოგადოებისა და სახელმწიფოს მტერთა, ყოველნაირ ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

დიდი სამამულო ომის წლებში საქართველოს სსრ მილიციის ბევრი მუშაკი მამაცურად იბრძოდა საბჭოთა არმიის ნაწილებსა და შენაერთებში, გამანადგურებელ ბატალიონებში, მტკიცედ იბრძოდა ზურგის დეზორგანიზატორთა წინააღმდეგ.

ჩვენი მილიციის ორგანოები განუწყვეტლივ სრულყოფენ თავიანთი მუშაობის სტილსა და მეთოდებს, მუდამ ზრუნავენ თავიანთი იდეური და საერთო კულტურული დონის ამაღლებისათვის, და ამის მეოხებით წარმატებით იბრძვიან სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფისა და დამნაშავეობის აღმოფხვრისათვის.

თავიანთ ყოველდღიურ მუშაობაში, დამნაშავეობისა და სამართალ დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც წლითიწლობით ძლიერდება, მილიციის ორგანოები ეყრდნობიან ჩვენი ფართო საზოგადოებრიობის აქტიურ მხარდაჭერასა და დახმარებას, მტკიცე კავშირს ამყარებენ საზოგადოებრიობასთან.

მიესალმებიან და ულოცავენ რა რესპუბლიკის მილიციის პირად შემადგენლობას საბჭოთა მილიციის ორგანოების 50 წლისთავს, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ მილიციის მუშაკები კვლავაც განუხრელად სრულყოფენ პროფესიულ ოსტატობას, ზუსტად დაიცავენ დისციპლინასა და სოციალისტურ კანონიერებას, გააფართოებენ და განამტკიცებენ ურთიერთობას მშრომელებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, აღზრდიან იდეურად გამოწრთობილ, პოლიტიკურად მომწიფებულ მებრძოლებს, რომლებიც შეასრულებენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახულ ყოველ ამოცანას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი | საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ხუთწლედი — ვადამდე!

# კიროველთა სიტყვა

△ საიუბილეო წლის გეგმა — 25 დეკემბრისათვის △ ხუთწლიანი გეგმა — 1970 წლის 7 ნოემბრისათვის △ ღირსეულად შევხვდებით ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს △ ყოველწლიურად იქნება სპეციალური მილდამმუშავებელი ჩარხების 10-10 ახალი მოდელი

◆

საიუბილეო წლის შრომას კვლავ სასახელოდ განაგრძობენ თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის მშრომელები. არა ერთი გამარჯვება მოიპოვეს კიროველებმა წელს. ქარხნის კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა 10 თვის გეგმა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 100 ათასი მანეთის პროდუქცია, შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 6,2 პროცენტით გაიზარდა, დაზოგილია 114 ტონა შავი ლითონი, 670 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია.

მაგრამ მარტო ზემოაღნიშნული მიღწევებით როდი კმაყოფილდებიან ჩარხმშენებლები. კარგად იციან, რომ მათ წინაშე დიდი და საპატიო ამოცანები დგას: პარტიის XXIII ყრილობის დირექტივების პასუხად სავალდებულოდ უნდა გააუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი, აიყვანონ მსოფლიო საუკეთესო სტანდარტების დონემდე.

სწორედ ამიტომ დროულად ჩაებნენ კიროველები ხუთწლედის ვადამდე შესრულებისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, რითაც მხარი დაუჭირეს მოსკოველი ელექტრომექანიკოსების მოწოდებას.

ვალდებულებები, კიროველებმა რომ იკისრეს, ერთხელ კიდევ გვიჩვენებს ქარხნის კოლექტივის ერთსულოვნებას. თქმში, რომელსაც ხელს აწერენ ქარხნის დირექტორი შ. ჩიქოვანი, პარტიული კომიტეტის მდივანი გ. ბიბილეიშვილი, პროფკავშირის ადგილკომის თავმჯდომარე ნ. გოგელიძე, მოწინავე მუშები ზ. გველუკაშვილი, ნ. შახატუნიანი, პ. ტენიუჩევი და შ. ფირცხალავა, ნათქვამია:

საიუბილეო წლის გეგმას შევასრულებთ 25 დეკემბრისათვის. გეგმის გადაჭარბებით გამოვუშვებთ ასეულ ათასობით მანეთის სხვადასხვა პროდუქციას. წლის ბოლომდე ავითვისებთ მილდამმუშავებელი სპეციალური ჩარხების 5 ახალ მოდელს; დავზოგავთ 120 ტონა შავ ლითონს, 800 ათას კილოვატ-საათ ელექტროენერგიას, 80 ტონა პირობით საწვავს. რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვით მივიღებთ 55 ათასი მანეთის პირობით წლიურ ეკონომიას. ქარხნის მოგებას გავზრდით 1,4-ჯერ.

ხუთწლედის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმას შევასრულებთ ვადამდე — 1970 წლის 7 ნოემბრისათვის; ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავზე, 1970 წლის 22 აპრილისათვის სახარატო-ხრახნსაჭრელი ჩარხების სერიულ გამოშვებას გავუტოლებთ იმ დონეს, რომელიც ხუთწლედის ბოლოსათვის არის გათვალისწინებული.

ხუთწლედის მანძილზე სახარატო-ხრახნსაჭრელი ჩარხების წარმოებას ავიყვანთ მსოფლიოს საუკეთესო სტანდარტების დონემდე. ყოველწლიურად ავითვისებთ მილდამმუშავებელი სპეციალური ჩარხების 10-10 ახალ მოდელს, ავითვისებთ მთელ რიგ უნიფიცირებულ სპეციალურ ჩარხებს. ხუთწლედის მანძილზე დავზოგავთ 450 ტონა შავ ლითონს.

ნაკისრი ვალდებულებები საქმედ რომ აქციონ, ჩარხმშენებლებს მთელი შიდა რეზერვების მობილიზება მოუხდებათ.

• • •



სურათზე: კიროვის ჩარხსამშენებლო ქარხნის მექანიკური საამწყობო საამქროს მოწინავე ამწყობი ზეინკალი გ. ივანელაშვილი.

ფოტო მ. შოშიაშვილისა.

# აკადემიკოს ი. ვეკუას იუბილე

20 ნოემბერს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში გაიმართა ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატის, თბილისის უნივერსიტეტის რექტორის აკადემიკოს ილია ნესტორის-ძე ვეკუას დაბადების 60 წლისთავისა და მეცნიერული, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 35 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საზეიმო სხდომა, რომელიც მოიწვიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის განყოფილებამ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა.

იუბილარის მისასალმებლად და მისალოცად შეიკრიბნენ უნივერსიტეტისა და თბილისის სხვა უმაღლესი სასწავლებლების პროფესორები და მასწავლებლები, მეცნიერები, ლიტერატურის, ხელოვნების მოღვაწეები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მოძმე რესპუბლიკებიდან, საქართველოს ქალაქებიდან და რაიონებიდან ჩამოსული მრავალი სტუმარი.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ნ. მუსხელიშვილმა.

მოხსენება „ი. ნ. ვეკუას ცხოვრება და მოღვაწეობა" გააკეთა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. ბიწაძემ.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. ჯიბლაძემ. იგი იუბილარს მიესალმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით, აგრეთვე საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების პროფესორებისა და მასწავლებლების მრავალათასიანი კოლექტივისა და, რესპუბლიკის სტუდენტების სახელით.

თბილისის უნივერსიტეტის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს ერთ-ერთმა უხუცესმა მეცნიერმა, უძველესი სასწავლებლის ძველი ქართული ენის კათედრის გამგემ რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. შანიძემ.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ი. პროხოროვმა წაიკითხა მისალმება იუბილარისადმი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმისა და აკადემიის მათემატიკის განყოფილების სახელით.

თვალსაჩინო ფინელმა მათემატიკოსმა პროფესორმა რ. ნევანლინმა ფინეთის მათემატიკოსთა სახელით ინგლისურ, ფინურ, რუსულ და ქართულ ენებზე ჯანმრთელობა და ახალი შემოქმედებითი წარმატებანი უსურვა ი. ვეკუას.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმისა და აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების დავალებით მეცნიერს მიესალმა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი რ. დვალი.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. გელფანდმა წაიკითხა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მოსკოვის მათემატიკოსთა საზოგადოების მისასალმებელი ადრესი.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილებისა და ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის სახელით ქართველ მათემატიკოსს გულთბილად მიესალმა აკადემიკოსი ს. სობოლევი. მან ი. ვეკუას გადასცა ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის ემბლემა.

იუბილარს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის კოლექტივის სახელით მიესალმა აკადემიკოსი ა. ტიხონოვი, ხოლო პროფესორმა ა. კოშელევმა გადასცა მას ლენინგრადელ მათემატიკოსთა მისასალმებელი ადრესი.

გალის რაიონის — აკადემიკოს ი. ვეკუას მშობლიური რაიონის მშრომელთა სახელით მეცნიერს აღფრთოვანებით მიულოცა იუბილე ამ რაიონის წარმომადგენელმა, მასწავლებელმა გ. ხაბურზანიამ.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვ. ა. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დავალებით იუბილარს მიესალმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ა. მარჯანიშვილი.

დონეცკის სამეცნიერო ცენტრის მეცნიერთა სახელით ქართველ მათემატიკოსს მიესალმა უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ი. დანილიუკი.

ყაზახეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ი. კიმი ყაზახ მეცნიერთა სახელით ესალმება იუბილარს. აზერბაიჯანის მეცნიერთა დავალებით მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ზ. ხალილოვმა, ტაჯიკეთის მათემატიკური საზოგადოებრიობის სახელით — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორმა ზ. ჯურაევმა.

ვილნიუსის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივისა და ლიტვის მათემატიკური საზოგადოებრიობის მისალმება წაიკითხა პროფესორმა ს. იანკაუსკასმა.

სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით აკადემიკოს ვეკუას გულთბილი მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებმა მ. ჯერბაშიანმა, ა. შაგინიანმა, ერევნის უნივერსიტეტის რექტორმა, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა მ. ნერსესიანმა.

სიტყვა წარმოთქვა ზუგდიდის იმ საშუალო სკოლის დირექტორმა შ. ხუბულავამ, რომელშიც იუბილარი სწავლობდა.

უკრაინის მათემატიკური საზოგადოებრიობისა და კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით მისასალმებელ სიტყვას კითხულობს პროფესორი ს. ბელონოსოვი.

აზერბაიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობისა და სტუდენტთა 12-ათასიანი კოლექტივის სახელით მეგობრულად მიესალმება იუბილარს უმაღლესი სასწავლებლის რექტორი პროფესორი მ. ალიევი.

დაღესტნის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი ი. აბილოვი ქართველ მეცნიერს მიესალმა კავკასიის ამ ყველაზე ახალგაზრდა უმაღლესი სასწავლებლის სახელით.

ვარშავის უნივერსიტეტის მათემატიკის ინსტიტუტის მისალმება წაიკითხა აკადემიკოს ვეკუას მოწაფემ, გამოჩენილმა პოლონელმა მათემატიკოსმა პროფესორმა ბ. ბოიარსკიმ.

საზღვარგარეთ იუბილარის დიდ პოპულარობაზე ილაპარაკა მისმა ერთ-ერთმა მოწაფემ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოჩენილმა მეცნიერმა, პროფესორმა ვ. შმიდტმა. იგი კითხულობს მისალმებას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მათემატიკოსთა სახელით.

უზბეკ მეცნიერთა სახელით პროფესორს მიესალმა ი. სალახიდინოვი, ხოლო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ცენტრისა და ზუსტი მექანიკისა და გამოსათვლელი ტექნიკის ინსტიტუტის კოლექტივების სახელით — პროფესორი ვ. მიღკინი.

იუბილარს მიმართავს პროფესორი გ. მიგირენკო. იგი ციმბირის საზოგადოებრიობის სახელით მიესალმება ი. ვეკუას და გადასცა მას ნოვოსიბირსკის ოლქის ემბლემა.

შემდეგ იუბილარს 60 წლისთავის აღსანიშნავად გადასცემენ ადრესებსა და სამახსოვრო საჩუქრებს რესპუბლიკის მთელი რიგი სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტებისა და უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები, მისი კოლეგები და მოწაფეები. კითხულობენ ი. ვეკუას სახელზე მოსულ მისალმებებს, რომლებიც გამოგზავნეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა მ. კელდიშმა, ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისა და უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივებმა, ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, ინგლისის, ჰოლანდიის, დანიის, იტალიის, ნორვეგიის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, შვეციის, შოტლანდიის მეცნიერებისაგან გამოგზავნილ მისასალმებელ დეპეშებს.

აკადემიკოსმა ი. ვეკუამ მადლობა გადაუხადა პარტიასა და მთავრობას მისი მოღვაწეობის ესოდენ მაღალი შეფასებისათვის, ბოლოს შეკრებილთ — გულთბილი მილოცვებისათვის.

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი.

საიუბილეო საზეიმო სხდომაზე იყვნენ ვ. პ. მჟავანაძე, დ. გ. სტურუა, რ. ი. ფრუიძე, გ. ს. ძოწენიძე, გ. დ. ჯავახიშვილი, მ. ი. კუჭავა, შ. დ. კიკნაძე, ო. ი. ლოლაშვილი, ო. მ. ჩერქეზია. (საქინფორმი).

• • •



სურათზე: იუბილარს მიესალმება აკადემიკოსი ა. შანიძე.

ფოტო გ. შეყილაძისა.

# ტყე ჩვენი საუნჯეა



ტყე სიკეთის დედაა! ტყე მჩქეფარე წყლის სათავეა, ტყე მინდვრის ღალიანობის თავწყაროა, ტყე ჩვენი ბუნების თავსამკაულია! გავუფრთხილდეთ ტყეს, დაე ყველგან იყოს მწვანე ნარგავები — ადამიანის ჯანმრთელობის საწინდარი!

დავამშვენოთ ჩვენი კუთხე, გავაშენოთ ტყეები, მწვანით შევმოსოთ რესპუბლიკის გზები, უფრო მეტ ფართობებზე მოვაწყოთ ქარსაფარი და მინდორსაცავი ტყის ზოლები, ყოველმხრივ ვიზრუნოთ ჩვენი ფლორის სიმდიდრისათვის! — ამბობენ ჩვენი მშრომელები და ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ ხრიოკი გორაკები და გზის ნაპირები ტყით შემოსონ.

თვალსა და გულს ახარებს ერთ დროს ხრიოკი, ახლა კი მწვანე ნარგავთა კვადრატებში ჩაფლული სამგორის ველი. ადამიანის გამრჯე მარჯვენამ, გონებამ გზა გადაუღობა ქარს. ვერხვები და ალვისხეები, მარად მწვანე ნაძვები და ფიჭვები ცასა სწვდებიან, წალკოტს ემსგავსება სამგორი!

აბა შავიზღვისპირეთის მარადმწვანე ხეთა მწკრივებს გახედეთ. თვალს ახარებს ციტრუსოვანთა ბაღების ირგვლივ და გზების ნაპირებზე მიჯრით ჩაყოლებული მარადმწვანე ტყეთა ზოლები, ნაძვები, ევკალიპტები.

შავიზღვისპირეთის მოხატულ დაბლობს, რიონის, ჩხერიმელას, ენგურის, ჭოროხის, მტკვრის, ლიახვის, ალაზნისა თუ იორის ნაპირებს ტყე ამკობს და კვებავს. ჩვენ გვინდა, რომ უფრო წყალუხვი იყოს საქართველოს მდინარეები, უფრო მიმზიდველი იყოს ქალაქები, დაბა-სოფლები, შარაგზები, უფრო უხვმოსავლიანი იყოს ჩვენი ბაღ-ვენახები, ჩაის პლანტაციები, მინდვრები.

გვიანი შემოდგომაა. მზიანი, უავდრო დღეები საკმაოდ არის. სოფლად ახლა შედარებით ნაკლები სამუშაოებია. ეს საშუალებას გვაძლევს ტყის ზოლების გასაშენებლად გამოვიყენოთ ეს დრო. ამ საქმეში პირველი სიტყვა ჩვენს ახალგაზრდებს ეკუთვნის. უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა, საშუალო სკოლების უფროსკლასელთა საპატიო მოვალეობაა აქტიური მონაწილეობა მიიღონ ტყის გასაშენებლად გაშლილ ლაშქრობაში. პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ ტყის ზოლების გასაშენებლად მოწყობილ შაბათობებს.

მოვუაროთ ტყეებს, გავაშენოთ ტყის ზოლები, დავამშვენოთ მთა და ბარი!

## საქინფორმის ცნობა

# მიფრინავს „კოსმოსი-191"

1967 წლის 21 ნოემბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოსი-191". თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საქინფორმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს.

სამეცნიერო აპარატურის გარდა თანამგზავრზე არის რადიოსისტემა ორბიტის ელემენტების ზუსტი გაზომვისათვის; რადიოტელემეტრიული სისტემა, რომელიც დედამიწაზე გადმოსცემს მონაცემებს ხელსაწყოთა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

# საბჭოთა მილიცია 50 წლისაა

## მოსკოვი

საბჭოთა მილიციის დიდი დამსახურების საყოველთაო სახალხო აღიარებად გადაიქცა საბჭოთა მილიციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება, რომელიც 21 ნოემბერს გაიმართა კრემლის ყრილობათა სასახლეში. აქ შეიკრიბა მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მშრომელთა, პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ათასობით წარმომადგენელი, მილიციის ორგანოების საუკეთესო მუშაკები, რომლებიც დედაქალაქში ჩამოვიდნენ მოკავშირე რესპუბლიკებიდან, მხარეებიდან, ოლქებიდან, სახალხო რაზმელები, მილიციის სამსახურის ვეტერანები, უცხოელი სტუმრები.

პრეზიდიუმში იყვნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები, რომლებსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ.

მოკლე შესავალი სიტყვით კრება გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ვ. გრიშინმა.

კრების მონაწილეებმა დიდი აღმავლობით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს შემადგენლობით.

მქუხარე ტაშით შეხვდნენ შეკრებილნი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებას საბჭოთა მილიციის მუშაკებისადმი, რომელიც წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. ვ. კაპიტონოვმა.

სახელოვანი იუბილესადმი მიძღვნილი მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრმა გენერალ-პოლკოვნიკმა ნ. ა. შჩოლოკოვმა. (საქინფორმი).

## თბილისი

გუშინ, 21 ნოემბერს, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა საბჭოთა მილიციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება. აქ შეიკრიბნენ თბილისის მშრომელთა, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, მილიციის ორგანოების საუკეთესო მუშაკები.

პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები ვ. პ. მჟავანაძე, დ. გ. სტურუა, რ. ი. ფრუიძე, გ. ს. ძოწენიძე, გ. დ. ჯავახიშვილი, შ. დ. კიკნაძე, ო. ი. ლოლაშვილი, მინისტრები, ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

კრება გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვ. ჩოფიკაშვილმა.

შეკრებილნი მქუხარე ტაშით შეხვდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მისალმებას რესპუბლიკის მილიციის მუშაკებისადმი, რომელიც წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა დ. გ. სტურუამ.

მოხსენება საბჭოთა მილიციის 50 წლის სახელოვანი გზის შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრმა ე. ა. შევარდნაძემ.

მილიციის მუშაკებს გულთბილად მიულოცეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. ზურაბაშვილმა, კომუნისტური შრომის დამკვრელმა თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ხარატმა ზ. სარალიძემ, პარტიის წევრმა 1917 წლიდან ვ. ნადარეიშვილმა, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა ზ. მუზაშვილმა, რესპუბლიკის პროკურორმა პ. ბერძენიშვილმა, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ვ. მაისურაძემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ბ. კაციტაძემ.

საზეიმო კრების მონაწილეებს მიესალმნენ ქალაქ თბილისის პიონერები და მოსწავლეები.

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი. (საქინფორმი).



სურათზე: შაბათობის მონაწილეთა ერთი ჯგუფი.

# გავამწვანოთ გზები და ხეობები

თრიალეთის თოვლიანი მწვერვალები, ცამდე რომ აყუდებულან, უცებ ოქროს ძაფებმა მოავარაყეს. ქვემოთ კი მათი ფერდობები, თითქოს ღამეს თავი ტყეში შეუფარებიაო, ჯერ კიდევ შავად მოჩანან.

სამიოდე თვის წინათ ეს შიშველი ფერდობები ტრაქტორისტებმა — ხაშურელმა კარლო ლომიძემ, ქარელელმა გივი სვენაძემ, სამგორელმა ვასილ გიგაურმა და ხვთისო პინჯარაულმა, სიღნაღელმა ვახტანგ მენთეშაშვილმა გუთნებით დაღარეს. როცა მათთან საუბრის დროს ჩემთვის ჩავილაპარაკე, დიდი სიფრთხილეა საჭირო, საშიშია, ამ ციცაბო ფერდობზე შეიძლება ტრაქტორი გადაბრუნდეს-მეთქი, ბიჭებმა გულიანად გადაიხარხარეს და მითხრეს — კოსმოსში ალარავის ეშინია, მიწაზე რა არის საშიშიო.

მართლაც ისე დაამთავრეს 160 ჰექტარი მთების ფერდობების დატერასება, რომ მარცხი არავის მოსვლია. მერე უდარდელად გაუყვნენ თავიანთ გზას და დანარჩენი საქმე — ამ მთების მოვლა-პატრონობა, მათი მწვანე სამოსით შემოსვა და გალამაზება სხვებს გადაულოცეს.

აი ის სხვებიც. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სტუდენტები უკვე შეესივნენ მთების ფერდობებს, ტერასებში ჩადგნენ და ლონივრად სცემენ ბარს. მათ გორის სატყეო მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებმა აუბეს მხარი.

— მიითვალეთ, — ხუმრობით ამბობს „საქხილბოსტნის" დამზადების გორის კანტორის პარტორგანიზაციის მდივანი თენგიზ გოგოლაძე და თავის ჯგუფს წინ მიუძღვის.

შაბათობაც ამას ჰქვია. მანქანა მანქანას მოსდევს. ქარელის სატყეო მეურნეობის დირექტორი ბაგრატ კუთხაშვილი ძლივს ასწრებს შაბათობაზე მოსულების განაწილებას და სადღეისო ამოცანის ახსნას. არც გორის რაიონის ავტოინსპექტორი გოგი ძაგნიძეა მოსვენებული. მან დღეს ნამდვილად ასი ყური და თვალი გამოიბა. ხან რომელ მანქანასთან ნახავთ, ხან რომელთან. გზის ვერცერთ მხარეს მანქანა ვერ გადავა. მხოლოდ გზაზე უნდა გაჩერდნენ, თანაც ცენტრალურ გზაზე, რომელზეც საერთოდ დიდი მოძრაობაა. დღეს კი კვირაა...

მანქანების კოლონას ბოლო არ უჩანს. მოდიან და მოდიან გორის რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობა და საწარმო-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეები. ისმის მხიარული ჟივილ-ხივილი, ბარების, ნიჩბების, ძალაყინებისა და წერაქვების ჩხარაჩხური... მოდიან ტყვიავის, ხელთუბნის, ატენის, ტირძნისის, ნიქოზის, მეჯვრისხევის, ვარიანის და სხვა სოფლების საშუალო

(დასასრული მე-2 გვერდზე).



ანგარიშები-არჩევნები პირველად პარტიულ ორგანიზაციებში

# რატომ ჩამორჩა საწარმო?

[illegible]

...ლება, დამაკმაყოფილებლად შეაფასა პარტბიუროს მიერ გაწეული მუშაობა და აირჩია მისი ახალი შემადგენლობა.

პარტბიუროს მდივნად არჩეულია ჯ. ჩარქსელიანი.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

## გუშინდელი ფოსტიდან

## მკითხველები გვწერენ

[illegible]

160 ნორჩი მკითხველი რეგულარულად სარგებლობს წიგნებით.

გ. სიხარულიძე.

ხორხი დუშეთის რაიონის ერთ-ერთი შორეული მთის სოფელია. აქაური მცხოვრებლები მდინარე არაგვზე ხიდით გადიოდნენ. ხიდი დაინგრა. მთელი სოფელი აქტიურად მონაწილეობდა ახალი ხიდის მშენებლობაზე.

ახლა უბრალო ხის ხიდის ნაცვლად ხორხელებს ემსახურება საიმედო, რკინის ხიდი. ეს სოფლის მშრომელებისათვის კარგი საოქტომბრო საჩუქარია.

ვ. ხუცურაული.

საჩხერის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაუმჯობესებლად შეუდგა ორსართულიანი შენობის აგებას, რომელიც საიუბილეო წელს დამთავრდება. აქ გაიხსნება საპარიკმახერო, ტანსაცმლის ინდივიდუალური შეკერვის ატელიე, ფეხსაცმლის შემკეთებელი სახელოსნო, ფოტოატელიე და სხვ. მომავალ წელს გათვალისწინებულია აბანოს მშენებლობა.

შ. ჭილლაძე.


ეროვნული ბიბლიოთეკა

საიუბილეო ვახტს კვლავ წარმატებით განაგრძობს 26 კომისრის სახელობის თბილისის მანქანათსამშენებლო ქარხნის კოლექტივი. ამ სურათზე ასახული არიან ქარხნის № 1 მექანიკურ-საამწყობო საამქროს მოწინავე ადამიანები (მარცხნიდან მარჯვნივ): ფრეზერი შ. მაისურაძე, კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირი, მემონტაჟე ა. ქარიბაია, მომწესრიგებელი გ. ქუმარიტოვი, მღარავი ი. პროკოფიევი, ხარატი გ. ჩახინაშვილი, ხარატი მ. აკოფოვი და კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირი ზეინკალი ვ. ხეჩუაშვილი.

ფოტო მ. შოშიაშვილისა.

## გაიმარჯვეს შეჯიბრებაში

მოსკოვიდან შევიტყვეთ, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მთელ რიგ საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივები მესამე კვარტალში მუშაობის შედეგების მიხედვით ცნეს გამარჯვებულებად დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სრულიად საკავშირო გაერთიანება „სასოფლტექნიკის“ და სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის სამახსოვრო დროშით დაჯილდოებულია „საქსოფლტექნიკის“ ზუგდიდის რაიონული განყოფილების კოლექტივი.

სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს და სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია მიენიჭათ ლილოს რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხნის და საქართველოს წყალთა მეურნეობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის კოლექტივებს.

თბილისის № 6 წისქვილკომბინატმა მოიპოვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტის და სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

პირველად საბჭოთა კავშირში

## არის კოლოიდური გოგირდი!

რუსთავი (საქ. კორ.). კოლოიდური გოგირდის მიღების პრობლემა დიდი ხანია დგას ქიმიურ მრეწველობაში. ქართველი სპეციალისტების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს პრობლემა უკვე წარმატებით გადაჭრეს და საიუბილეოდ შეუდგნენ მის სერიულ გამოშვებას.

კოლოიდურ გოგირდს უდიდესი გამოყენება აქვს სოფლის მეურნეობაში.

— სად იქნა მიღებული პირველი კოლოიდური გოგირდი?

— ჩვენთან, კოქსქიმიურ საამქროში, — გვიპასუხა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოქსქიმიური საამქროს ქიმიური ბლოკის უფროსმა ე. გვენცაძემ. —მოგეხსენებათ, რომ კოქსის აირში გოგირდწყალბადია. იგი დარიშხანთან და ქლორთან რეაქციის შედეგად იძლევა იგრეთწოდებულ გოგირდის ქაფს, რომელსაც შემდგომ ეტაპზე მავნე მარილებს აცლიან და უკვე გაწმენდილ გოგირდს უმატებენ კაოლინის თიხასა და სულფატს. აი ეს უკვე კოლოიდური გოგირდია. ზემოაღნიშნული ოპერაცია ასაწყობად შეიძლება იოლი იყოს, მაგრამ ჩვენმა სპეციალისტებმა მას დიდი დრო და ენერგია მოახმარეს. აქვე უნდა აღინიშნოს ის მუშაობა, რაც კოლოიდური გოგირდის მისაღებად მოსკოვის „გიპროგაზოოჩისტკის“ საპროექტო ინსტიტუტმა გასწია. აღნიშნულმა ორგანიზაციამ თავისი პროექტი ჩვენი ქვეყნის მრავალ მეტალურგიულ ქარხანას შესთავაზა, მაგრამ მხარდაჭერა მხოლოდ ქართველი სპეციალისტებისაგან მიიღო...

ახალი ქიმიური პროდუქციის მიღების საქმეში განსაკუთრებით აქტიური მონაწილეობა მიიღეს საამქროს უფროსმა ქ. ქირიამ, ქიმიური ბლოკის უფროსმა ე. გვენცაძემ, უფროსმა მეაპარატეებმა გ. ხვედელიანმა, ი. ხაბეიშვილმა, ო. მალანინმა, ოსტატებმა ე. დარახველიძემ, ს. კახმანოვმა და სხვებმა.

რუსთავის მარკის კოლოიდური გოგირდით უკვე შეწამლულია ჩვენი რესპუბლიკის მრავალი ჰექტარი ბაღი და ვენახი.

## გარდაბნელთა ნობათი

გარდაბნის რაიონის გამარჯვების საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა სიტყვა საქმედ აქციეს, — აცნობა რედაქციას მეურნეობის დირექტორმა პ. ელიზბარაშვილმა, — სახელმწიფოს მიეყიდა 7.160 ცენტნერი რძე ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 7.100 ცენტნერისა, 980 ცენტნერი ხორცი ნაცვლად 926 ცენტნერისა, 751 ცენტნერი მატყლი ნაცვლად 750 ცენტნერისა, დიდი გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე ყურძნის, ბოსტნეულის, სილოსის დამზადების გეგმები.



ნელი ნიავი აშრიალებს ნარინჯოვანთა ბაღებს. გული სიხარულით გევსება, როცა საკუთარი თვალით ხედავ, რომ მანდარინის, ფორთოხლის, ლიმონის უხვ მოსავალს ვერ იტევს ხობის რაიონის ხეთის კოლმეურნეობის ციტრუსოვანთა ბაღები.

ციტრუსოვანთა ნაყოფის მაღალი მოსავლის მისაღებად ხუთწლედის მეორე წელს ბეჯითად უმუშავნიათ ხეთელებს, ნარინჯოვანთა ბაღებისათვის არ მოუკლიათ მზრუნველი ხელი, დროზე ჩაუტარებიათ აგროტექნიკით გათვალისწინებული სამუშაოები. ახლა კი კოლმეურნეები თავიანთი ნაამაგარით ამაყობენ. ხეთელმა კოლმეურნეებმა წელს გადაწყვიტეს სახელმწიფოს მიჰყიდონ 100 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი ნაცვლად 30 ტონისა. ისინი ამ დღეებში მასობრივად შეუდგებიან პირობის შესრულებას.

სურათზე: კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნ. კოდუა მანდარინის ბაღში.

ფოტო შ. ჩხეტიანისა და გ. გოგოხიასი.

## თამბაქოს მოსავლის გეგმის შესრულება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1967 წლის 20 ნოემბრისათვის

(ათასი ზონარმეტრი)

| | გეგმა | ფაქტიური შესრულება | გეგმის შესრულების პროცენტი |
|---|---|---|---|
| ლაგოდეხის რაიონი | 29690 | 28773 | 96,9 |
| მარნეულის | 37500 | 38185 | 101,8 |
| ბოლნისის | 5100 | 7754 | 152,0 |
| აფხაზეთის ასსრ | 85000 | 62686 | 73,7 |
| აჭარის ასსრ | 22000 | 23328 | 106,0 |
| სულ | 179290 | 160726 | 89,6 |
| იყო 1966 წლის 20 ნოემბრისათვის | 190620 | 113624 | 59,6 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

# ხალხის კეთილდღეობის სამსახურში

ფ. დუმბაძე,
საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი.

ხუთწლედის პირველი ორი წელიწადი ჩვენს რესპუბლიკაში საყოფაცხოვრებო მომსახურების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ზრდის პერიოდია.

საგრძნობლად გაფართოვდა საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა ქსელი, გაიმტკიცდა ამ დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გაუმჯობესდა მომარაგება მანქანა-დანადგარებით, მასალებითა და ნედლეულით. მარტო 1966 წელს მწყობრში ჩადგა 500-ზე მეტი ახალი საწარმო, ხოლო წლეულს 8 თვის განმავლობაში გაიხსნა 700-ზე მეტი კეთილმოწყობილი ობიექტი.

საქართველოში ამჟამად 8 ათასამდე საყოფაცხოვრებო ობიექტი მუშაობს, რომლებმაც მოსახლეობას გასულ წელს 32,5 მილიონი მანეთის მომსახურება გაუწიეს, საიუბილეო წლის დამლევისათვის კი ამ მაჩვენებელს 40 მილიონ მანეთამდე აიყვანენ. საყოფაცხოვრებო მომსახურების საშუალო წლიური ზრდა 20-25 პროცენტს შეადგენს. ასეთი ტემპები ძირითადად უზრუნველყოფს ხუთწლიანი გეგმის დირექტივების შესრულებას, რომლებიც გვავალებს 1970 წლისათვის რესპუბლიკის მშრომელთა მომსახურება გავზარდოთ 2,6-ჯერ, მათ შორის სოფლის მოსახლეობისა — 3,5-ჯერ.

საყოფაცხოვრებო საწარმოები სულ უფრო ახლოს მიდიან მოსახლეობასთან, ღრმად სწვდებიან და ითვალისწინებენ მის მოთხოვნილებას. რამდენიმე წლის წინათ ინდივიდუალური შეკვეთით მოხდენილი ფეხსაცმლის შეკერვა მხოლოდ თბილისში შეიძლებოდა, ახლა კი კეთილმოწყობილი სახელოსნოები გახსნილი გვაქვს ყველა ქალაქსა და რაიონულ ცენტრში.

თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, რუსთავში, ფოთში, ზუგდიდში, მახარაძეში, გარდაბანში, სხვა ქალაქებსა და წამყვან რაიონულ ცენტრებში 1966-67 წლებში გაიხსნა კეთილმოწყობილი, თანამედროვე მანქანებით აღჭურვილი სატრიკოტაჟო საწარმოები მიმღები პუნქტებით. ინდივიდუალური შეკვეთის საწარმოების მიერ დამზადებული სატრიკოტაჟო ნაწარმი კარგი ხარისხისაა და დიდი პოპულარობით სარგებლობს მოსახლეობაში.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების დახმარებით დიდი მუშაობაა გაწეული საყოფაცხოვრებო საწარმოთა კადრებით განმტკიცებისათვის, ამ დარგის სპეციალისტთა კვალიფიკაციის, მათი ოსტატობის დონის ამაღლებისათვის. ახლა რესპუბლიკის მშრომელთა მომსახურების სფეროში 40 ათასზე მეტი კაცია ჩაბმული. ისინი 400 სხვადასხვა სახის მომსახურებას უწევენ მოსახლეობას.

მაგრამ ჯერ კიდევ დიდი მუშაობა მოგველის იმისათვის, რომ ავამაღლოთ საყოფაცხოვრებო დარგის მუშაკთა პროფესიული ოსტატობის დონე. ბევრი მუშაკის კვალიფიკაცია დაბალია, ვერ აკმაყოფილებს მომხმარებელს. მოთხოვნები კი დღითიდღე იზრდება.

ამიტომ ამ დარგში სამუშაოდ უფრო აქტიურად უნდა მოვიზიდოთ განათლებული, საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდობა.

საყოფაცხოვრებო მომსახურების თანამედროვეობის მოთხოვნათა სიმაღლეზე აყვანას ვერ შევძლებთ, თუ მუშაობას განვაგრძობთ ძველებურად, კუსტარულად, არ ავიღებთ მექანიზაციისა და სპეციალიზაციის ფართოდ დანერგვის კურსს. ამიტომაც სამინისტრომ შეიმუშავა სპეციალური ღონისძიებანი წვრილმანი, დაქსაქსულ საწარმოთა გაერთიანება-გამსხვილების მიზნით, პირველ რიგში ეს უნდა მოხდეს მომსახურების მასობრივ სახეებში, რაზეც მოსახლეობის განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა.

თბილისში, ქუთაისში, რესპუბლიკის სხვა წამყვან ქალაქებსა და მსხვილ სამრეწველო ცენტრებში მალე გაქრება პატარ-პატარა, უმნოდ აჭრელებული ჯიხურები, რომლებშიც არ არის არათუ მცირე მექანიზაციის დანერგვის, არამედ კულტურულ მომსახურებაზე, შესრულებული შეკვეთების ხარისხზე რაიმე კონტროლის შესაძლებლობაც კი. წვრილმანი სახელოსნოების ნაცვლად ვქმნით მსხვილ მექანიზებულ ფაბრიკებს. ერთ-ერთი მათგანი — ფეხსაცმლის შეკეთების მექანიზებული ფაბრიკა ამ დღეებში გაიხსნება თბილისში, სააკაძის ქუჩაზე. დედაქალაქში შენდება აგრეთვე რთული საყოფაცხოვრებო ტექნიკის შემკეთებელი მექანიზებული საწარმო.

ცხინვალში, მახარაძეში, ზუგდიდში, ფოთსა და თელავში შენდება თეთრეულის რეცხვისა და ტანსაცმლის ქიმწმენდის კოოპერირებული ფაბრიკები, რომლებიც აღჭურვილი იქნებიან თანამედროვე სამამულო და იმპორტული მოწყობილობით. კეთილმოწყობილი კომპლექსური კომბინატები შენდება ბათუმში, რუსთავში, გურჯაანში, ფოთში, აბაშაში, წალენჯიხაში, სხვა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში. სულ წლეულს დაფინანსების ყველა წყაროთი 189 ობიექტს ვაშენებთ.

საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა ქსელის გაფართოებისათვის სახელმწიფო ასიგნობანი წლითიწლობით იზრდება, მაგრამ ეს არ კმარა. საყოფაცხოვრებო მომსახურება, განსაკუთრებით სოფლად, ჯერ კიდევ განიცდის საწარმოო ფართობის მწვავე ნაკლებობას. მდგომარეობიდან რომ გამოვსულიყავით და მომსახურების ყველაზე გადაუდებელი, ყველაზე საჭირო სახეებით მოგვეცვა ყველა, მათ შორის დაშორებული, მთიანი სოფლების მოსახლეობა, წლეულს შევქმენით 200-მდე სტაციონარული და დროებითი მიმღები პუნქტები, რაიონული და საქალაქო კომბინატების გამსვლელი კომპლექსური ბრიგადები, რომლებიც გრაფიკის მიხედვით ჩადიან სოფლებში და ადგილზე ასრულებენ დაკვეთებს.

სოფლის მოსახლეობის მოთხოვნილებათა უკეთ შესწავლისა და მომსახურების პირველი მოთხოვნილების სახეობათა სწრაფად მოწყობის მიზნით არსებული შტატების ხარჯზე 135 მსხვილ სასოფლო საბჭოში უკვე მუშაობს განთავისუფლებული მუშაკები — სოფლის საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზატორები. ამ სიახლემ კარგი შედეგი გამოიღო. წლეულს ფართოდ ვნერგავთ მომსახურების ისეთ სპეციფიკურ სახეებს, როგორიც არის ეზოების შემოღობვა, ჭების ამოყვანა, შეშის დამზადება-დახერხვა, ეზოებთან მისასვლელი ბილიკების მოასფალტება, მრავალწლიანი ნარგავების წამლობა საკარმიდამო ნაკვეთებზე და სხვ.

ძვირფასი თაოსნობა გამოიჩინეს ამ მხრივ გორის, წითელწყაროს და წყალტუბოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, რომლებმაც ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების აქტიური მხარდაჭერითა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციების მონაწილეობით გულდასმით შეისწავლეს თვითეული სოფლის მშრომელთა მოთხოვნილებანი და შეიმუშავეს 1968-1970 წლებში საკუთარი ძალებითა და სახსრებით სოფლად საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობის კონკრეტული გეგმები. სამი წლის მანძილზე ასეთი წესით გორის რაიონში აშენდება 94 ობიექტი, წითელწყაროს რაიონში — 40, ხოლო წყალტუბოს რაიონში —54 ობიექტი.

სამი რაიონის პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა მოუწოდეს რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს თავიანთი წვლილი შეიტანონ ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების პროგრამის განხორციელებაში, რომელიც კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დასახეს.

ეს ღონისძიება განიხილა და მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელმაც დაავალა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ფართოდ გაშალონ საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობა, მეტი მზრუნველობა გამოიჩინონ ამ დარგის განვითარებისათვის.

გორელთა, წითელწყაროელთა და წყალტუბოელთა ინიციატივამ გამოხმაურება და ერთსულოვანი მხარდაჭერა ჰპოვა რესპუბლიკის ყველა რაიონში. ახლა ყველგან აზუსტებენ არსებულ მოთხოვნილებებსა და საშუალებებს, იმუშავებენ კონკრეტულ გეგმებს. ხუთწლედის ბოლოსათვის არ უნდა დაგვრჩეს არც ერთი სოფელი, რომ იქ ორგანიზებული არ იყოს მომსახურების 10-15 სახეობა. გავუთანაბროთ სოფლის საყოფაცხოვრებო მომსახურება ქალაქში მიღწეულ დონეს, თანამედროვე კომფორტი შევუქმნათ ჩვენს სახელოვან კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სოფლის ინტელიგენციას! — ასეთია ჩვენი სადღეისო ამოცანა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში აღნიშნულია დონეცკის, დნეპროპეტროვსკის, ივანოვოს, მოსკოვისა და იაროსლავლის ოლქების სამრეწველო საწარმოთა სასარგებლო წამოწყება. საკუთარი სახსრების ხარჯზე აქ ქმნიან ატელიეებს, სახელოსნოებს, მიმღებ პუნქტებს თავიანთივე კოლექტივების მომსახურებისათვის. ეს ძალიან მოსახერხებელია. მუშები, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი და მოსამსახურეები მაშინ სარგებლობენ საყოფაცხოვრებო მომსახურებით, როცა სამსახურში მიდიან ან შინ ბრუნდებიან. ეს მათ დიდ დროს უზოგავს.

ამ თაოსნობას ჩვენს რესპუბლიკაშიც გაუჩნდნენ მიმდევრები. ფოთის სამრეწველო საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების კოლექტივებმა ვალდებულება იკისრეს საკუთარი სახსრებით ააშენონ საყოფაცხოვრებო საწარმოები თავიანთი კოლექტივების მომსახურებისათვის. ეს ინიციატივა უთუოდ ყოველგვარი მხარდაჭერის ღირსია.

საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარებისათვის პატრიოტულ მზრუნველობას იჩენენ, მაგალითად, პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტი და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი. სისტემატურ დახმარებას უწევენ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემას აგრეთვე თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სამტრედიის, ზუგდიდის, წითელწყაროს, გორის, თელავის, წყალტუბოს, აბაშის, სხვა ქალაქებისა და რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანოები.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარება განსაკუთრებით გვჭირდება საყოფაცხოვრებო საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელი კადრებით განმტკიცების საქმეში, რასაც ჯერ კიდევ ახასიათებს სერიოზული ნაკლოვანებანი.

ჯერ კიდევ ხშირია შემთხვევები, როცა საყოფაცხოვრებო საწარმოებისა და ორგანიზაციების სათავეში აყენებენ ადამიანებს, რომლებმაც სხვა უბანზე ვერ გაართვეს თავი მუშაობას, არ გააჩნიათ საამისოდ არც ცოდნა და არც გამოცდილება. თბილისის ტანსაცმლის ინდკერვის 80-ზე მეტი ატელიეს და სახელოსნოს გამგეებიდან მხოლოდ ხუთს აქვს შესაფერისი უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება. სამაგიეროდ აქ თავმოყრილი არიან რომელიც გინდავთ პროფესიის ადამიანები — პედაგოგები, იურისტები, სპორტსმენები, ეს მაშინ როცა უმაღლესი სამკერვალო და საფეიქრო განათლების მქონე სპეციალისტები საკმაოდ არიან.

ისევე როგორც სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებშიც ხორციელდება ფართო ეკონომიური რეფორმა — დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადასვლა. სისტემის ყველა საწარმო უკვე გადაყვანილია შრომის პროგრესიულ-პროცენტულ ანაზღაურებაზე. ახლა მეტი საშუალებაა იმისათვის, რომ გამოვიყენოთ უფრო ქმედითი მატერიალური სტიმულები წარმოების ეკონომიური ეფექტურობის, სამუშაოთა ხარისხისა და მომსახურების კულტურის ამაღლებისათვის.

ამავე დროს უნდა გავაძლიეროთ საყოფაცხოვრებო დარგის მუშაკთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა, შეურიგებელი ბრძოლა გამოვუცხადოთ გამოძალვის, შეკვეთების უხარისხოდ, დაუდევრად შესრულების, კლიენტებისადმი უპატივცემლო დამოკიდებულების თვითეულ ფაქტს.

სწორედ ამ ნიშნით — მომსახურების მაღალი, სანიმუშო კულტურისათვის ბრძოლის ნიშნით დაიწყეს 1967 — საიუბილეო წელი რესპუბლიკის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკებმა.

ფართოვდება შინ გამოძახებით მომსახურება, თუ თქვენ ავადმყოფის ან ბავშვის მომვლელი არა გყავთ, ბინის დალაგება გსურთ ან სარეცხი დაგიგროვდათ — დაურეკეთ „კეთილმომსახურების ბიუროებს“, რომლებიც აღმოგიჩენენ სათანადო დახმარებას. ასეთი ბიუროები წელს გაიხსნება რესპუბლიკის ყველა ქალაქში, აგრეთვე საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის კურორტებზე. პარტიისა და მთავრობის ახალი დადგენილებით საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებსა და ორგანიზაციებს უფლება მიენიჭათ ამ საქმეში ფართოდ ჩააბან პენსიონერები, მთელი რიგი შეღავათების გამოყენებით, რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებს შინ გამოძახებით მომსახურებას.

საყოფაცხოვრებო დარგის მუშაკებმა სასახელო წარმატებები მოიპოვეს საყოველთაო-სახალხო დღესასწაულისათვის ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის ბრძოლაში. 9 თვის გეგმა შესრულებულია 101 პროცენტით.

გადაჭარბებით შესრულებულია ისეთი მნიშვნელოვანი საოქტომბრო მაჩვენებლები, როგორიც არის შრომის ნაყოფიერების ზრდა, ზეგეგმითი დაგროვების მიღება, რაციონალიზატორულ წინადადებათა და გამოგონებათა დანერგვა; საზოგადოებრივ საწყისებზე მომზადებულია ორი ათასზე მეტი კაცი, კვალიფიკაცია აიმაღლა 1.100-ზე მეტმა მუშაკმა. ათობით ახალგაზრდა უმაღლესი კვალიფიკაციის მისაღებად მივლინებულია მოსკოვში, ლენინგრადში, რიგაში, ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში.

საიუბილეოდ თბილისში, ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე გაიხსნა ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი პირველი მოდელების რესპუბლიკური სახლი, რომელიც შეიმუშავებს და ინდდაკვეთის საწარმოებში მასობრივად დანერგავს ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და ტრიკოტაჟის ნაწარმის საუკეთესო ნიმუშებს. გამოვიდა საყოფაცხოვრებო დარგის საინფორმაციო-სარეკლამო ბიულეტენი „პირიმზე“. ოქტომბერში წლეულს მეორედ გაიმართა ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, თავსამკაულის, ტრიკოტაჟის ნაწარმისა და ავეჯის ნიმუშების დათვალიერება-კონკურსი. თავიანთ ოსტატობას აჩვენებენ „სილამაზის ოსტატები“ — პარიკმახერები.

საყოფაცხოვრებო დარგის მუშაკები ყოველდღიურად გრძნობენ ფართო საზოგადოებრიობის, მთელი ხალხის მხარდაჭერას, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის პრაქტიკულ დახმარებას. ამ ყურადღებისა და მზრუნველობის კიდევ ერთი გამოვლინებაა „საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების დაწესება. ამ დიდი პატივის, მაღალი შეფასების პასუხად ისინი გააორკეცებენ თავიანთ შრომას, ძალღონეს არ დაიშურებენ იმისათვის, რომ ღირსეულად მოემსახურონ ხალხს.

# გავამწვანოთ გზები და ხეობები

(დასასრული)

სკოლების მოსწავლეები და მასწავლებლები. მოდიან ისინი, ვისაც უყვარს თავისი კუთხე და ვინც ფიქრობს საკუთარი რაიონის ყოველი მტკაველი მიწის სილამაზესა და ლაზათზე. ხიდისთუბნის საშუალო სკოლის მოსწავლეებს წინ მოუძღვის ტრისტან თანდიაშვილი, რომელიც გამეტებით წელავს გარმონს და უკრავს სანდრო მირიანაშვილის მუსიკას „კოსმონავტებზე“.

ორი ათასამდე კაცი და ქალი შეესია შიშველ მთებს. ვინც მანქანით ამ დღეს გორის უღელტეხილი გადაიარა, აუცილებლად განცვიფრდებოდა და იტყოდა — ამაზე იტყვიან, ქუდზე კაცი გამოვიდაო. მართლაც, ვისაც კი ხმა მიაწვდინეს, ყველა უკლებლივ არის მოსული. მათი ყიჟინა ქვემოთ ხეობაში იკარგება, სადაც მოსარკული მტკვარი მიედინება.

დღე განახევრდა. ღამით შეციებულ მიწას ძვლები გაუთბა. ახლა უკვე შეიძლება შაბათობის ნაყოფის ნახვა გორის კულტურის განყოფილების გამგე ავთანდილ ჩხეიძესთან ერთად მთის ფერდობებს შევუდექით. გზადაგზა აქაური არემარის მომავალზე ვსაუბრობთ.

— როგორ არის საქმე, ხომ არ გიჭირთ? — შეეკითხა ავთანდილი ტირძნისის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილეს ქეთევან მაზმიშვილს ქეთევანმა რვეული გამოუწოდა.

— აგერ, შეხედეთ, აღრიცხვას ვაწარმოებთ. ზოგიერთმა უკვე ოთხი და ხუთი ორმო ამოთხარა. ჯერ დრო წინ არის. ისე რომ ალბათ თვითეულს ათი ორმო მაინც მოუწევს. ტერასებში ჩამდგარ მოსწავლეებს გავხედეთ, ყველა მართლაც დიდი ხალისით მუშაობდა. ერთ-ერთმა ყველაზე მეტად მიიპყრო ყურადღება, გადავწყვიტე ახლოს მენახა. და როცა მივუახლოვდი, მოსწავლე კი არა, პარტიის გორის რაიკომის მდივანი ნუგზარ ონიაშვილი იყო. ისე ღონივრად იქნევდა წერაქვს, რომ ქვებზე ცეცხლს აკვესებდა.

რაკი სხვებიც გვყავდა სანახავი, გზა განვაგრძეთ. ზღვის დონიდან 1000 მეტრის სიმაღლეზე ვართ. აქ უღელტეხილის უმაღლესი წერტილია. ქვემოთ, შაბათობის მონაწილეები ოქროს მაძიებლებივით გაშლილან მთათა ფერდობებზე და თავგამოდებით შრომობენ. მათკენ დავეშვით. ვნახეთ მეჯვრისხეველები, ნიქოზელები, ვარიანელები, აუგად ვერავის ახსენებ.

ერთი კი უნდა ვთქვათ, ვარიანელებს სხვებთან შედარებით უფრო მაგარი გრუნტი შეხვედრიათ, მაგრამ ამას როდი შეუშინებია სამამულო ომის გმირის თინა იოსებიძის მეზობლები. ზარმაცი კაციც გაბეჯითდება მეათეკლასელი ბიჭების ზაურ ოქროპირიძის, გიორგი ხუროშვილის, ზაქარია ხოსროშვილის და სხვათა უურე ბაში.

— თქვენც თუ გყავთ შრომის ფრიადოსნები? — შევეკითხეთ „საქსოფლტექნიკის“ გორის რაიონული განყოფილების მმართველის მოადგილეს ნიკოლოზ ურჯუმელაშვილს.

— ზარმაცები შაბათობაზე ვის უნახავს? — ღიმილით თქვა ნიკოლოზმა და დაუმატა.

— ასე მგონია, ჩვენი ბიჭების მიერ შესრულებული სამუშაო ყველაზე უფრო ხარისხიანია. — მართლაც, როცა გორელი მექანიზატორების ნახელავი ვნახეთ, ყოველთვის მიწასთან მებრძოლებს — № 3 სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირს ბიჭიკო გელაშვილს, ტრაქტორისტებს ტარიელ დურსალოვს, დიმიტრი როინიშვილს, ალექსანდრე აკოფაშვილს ახლაც დაუჭაბნიათ ჯიუტი მიწა და სურვილისამებრ დაუმუშავებიათ.

— ამ ორმოების სიღრმე და სიგანე 50 სანტიმეტრია, — გვითხრა „საქსოფლტექნიკის“ გორის რაიონული განყოფილების მმართველის მოადგილემ ლერი ჯაყელმა და ლითონის მეტრიანი მოიმარჯვა.

თვალი შევასწარ სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის ტყის კულტურების და მინდორსაცავი ტყის მშენებლობის სამმართველოს უფროსს აბელ ჯაფარიძეს. წინ დავუხვდი. ვთხოვე ემბნა გორის უღელტეხილის მომავლის შესახებ. აბელმა საუბარი შაბათობის მონაწილეთა ქებით დაიწყო.

— გამოგიტყდებით, ამდენს არ მოველოდი. მათ დღეს დიდი საქმე გააკეთეს. რაც მთავარია, ყველაფერი მზად არის, რომ უახლოეს დღეებში დავიწყოთ ამ ფერდობების გამწვანება. ახლო მომავალში, — ამბობს აბელი, — ალბათ ვეღარავინ იცნობს აქაურობას. ეს შიშველი მთები შეიმოსება შავი ფიჭვით, შეიძლება ელდარის ფიჭვიც დავრგოთ. გაშენდება აგრეთვე იფანი, ჭადარი, ნეკერჩხალი, ფშატი, ალუბალი და სხვა ჯიშები.

ისე აღტაცებული ლაპარაკობს აბელი, რომ უკვე ვხედავ მწვანე სამოსელში გახვეულ მთებს, რომელთა ფერდობებზეც ჩერდებიან ტურისტები, მგზავრები და გადაჰყურებენ მთელ ქართლს. აქედან ხომ ხელისგულივით მოჩანს ყველაფერი. ისვენებენ ფიჭვების ჩრდილში და მტკვრის ხეობიდან მონაბერი ნიავით გახურებულ შუბლს იგრილებენ. მერე მეტი სიამოვნებისაგან გაბრუებულნი ისევ გზას აგრძელებენ...

ეს მართლაც დიდი საქმე წამოიწყეს გორის რაიონის მშრომელებმა. მარტო მათი კი არა, ყველას საქმეა მშობლიური მიწის გალამაზება. მთები, შიშველი მთები გვეხმობენ. დავიცვათ ქარიშხლისგან და ეროზიისგან. ზღაპრულ ადგილად ვაქციოთ ისინი. მაშ გამოდით, ვისაც გული გერჩით.

რ. ბასილაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

# ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲚᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲨᲘ

**ᲡᲡᲠ კავშირის** უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 4 ნოემბრის ბრძანებულებით სამსახურეობრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში დამსახურებისათვის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია სსრ კავშირის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მუშაკთა დიდი ჯგუფი.

მათ შორის საქართველოს სს რესპუბლიკაში დაჯილდოებული არიან:

**ლენინის ორდენით**

**არჩვაძე** გრიგოლ დავითის-ძე — მილიციის ზემდეგი.

**რუხაძე** ალექსანდრე მელიტონის-ძე — შინაგანი სამსახურის პოდპოლკოვნიკი.

**შრომის წითელი დროშის ორდენით**

**ზერულავა** მიხეილ კონსტანტინეს-ძე — მილიციის პოლკოვნიკი.

**ბოლოთაევი** ილია ივანეს-ძე — მილიციის ზემდეგი.

**ვოლკოვი** ბორის ნიკოლოზის-ძე — მილიციის პოლკოვნიკი.

**გონიაშვილი** ვახტანგ სამსონის-ძე — შინაგანი სამსახურის სერჟანტი.

**კახიანი** გიორგი ანეპოდისტეს-ძე — მილიციის პოდპოლკოვნიკი.

**კიკნაძე** შალვა ივანეს-ძე — შინაგანი სამსახურის ინჟინერ-პოლკოვნიკი.

**მალიანი** კონსტანტინე მიხეილის-ძე — შინაგანი სამსახურის პოდპოლკოვნიკი.

**მუმლაძე** ივანე ისაკის-ძე — მილიციის პოლკოვნიკი.

**ნორაკიძე** გიორგი კონსტანტინეს-ძე შინაგანი სამსახურის პოლკოვნიკი.

[illegible]

**ბაბულაშვილი** გრიგოლ ალექსის-ძე — მილიციის სერჟანტი.

**ბარათაშვილი** ბორის ევგენის-ძე — მილიციის ლეიტენანტი.

**გელოვანი** აკაკი ანტონის-ძე — შინაგანი სამსახურის პოლკოვნიკი.

**გობეჩია** კონსტანტინე ვლადიმერის-ძე — მილიციის მაიორი.

**გობრონიძე** ალექსი ერმილეს-ძე — მილიციის პოლკოვნიკი.

**ჯოპუა** ვლადიმერ ლეონტის-ძე — მილიციის პოდპოლკოვნიკი.

[illegible]ლოვი ვახტანგ გიორგის-ძე — მილ[illegible]ის პოდპოლკოვნიკი.

**კალანტაროვი** ნიკოლოზ ივანეს-ძე — მილიციის პოდპოლკოვნიკი.

**კოვალჩუკი** პეტრე ვასილის-ძე — იუსტიციის პოლკოვნიკი.

**კონცელიძე** ვახტანგ დურსუნის-ძე — მილიციის პოდპოლკოვნიკი.

**კორძაძე** ილია ვალერიანის-ძე—მილიციის ზემდეგი.

**მამულოვი** სერგი სიმონის-ძე — შინაგანი სამსახურის პოლკოვნიკი.

**ნამგალაძე** ზაურ ნიკოლოზის-ძე — მილიციის უფროსი სერჟანტი.

**ოხიძე** ნიაზ ხორუნის-ძე — შინაგა- [illegible]

**„საპატიო ნიშნის“ ორდენით**

[illegible]

**ლაშხი** ნოე ნიკოლოზის-ძე — შინაგანი სამსახურის მაიორი.

**ლოლაძე** ესტატე მირიანის-ძე — საპატიმრო ადგილების სამმართველოს განყოფილების უფროსის მოადგილე.

**მახანაშვილი** ნოდარ იოსების-ძე — მილიციის უმცროსი სერჟანტი.

**მახლაიუკი** ნადეჟდა იაკობის ასული — საპატიმრო ადგილების სამმართველოს უფროსი ეკონომისტი.

**მელაძე** გიორგი ბესარიონის-ძე — მილიციის ზემდეგი.

**ნაკაშიძე** არსენ ნიკოლოზის-ძე — არასაუწყებო დაცვის განყოფილების რაზმის უფროსი.

**ნათიძე** აბდულ იუნუსის-ძე — მილიციის სერჟანტი.

**ფირალიშვილი** ელენე ვასილის ასული — საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სამედიცინო სამსახურის აფთიაქის გამგე.

**პირიევი** კოჯუ პირი ოღლი — მილიციის ზემდეგი.

**სტეფანოვი** ბოგდან გიორგის-ძე — საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მთავარი ბუღალტერი.

**ხუციშვილი** აკაკი ალექსის-ძე — მილიციის მაიორი.

**ჭანტურია** დავით პავლეს-ძე — შინაგანი სამსახურის პოლკოვნიკი.

**ჭკადუა** იასონ რეშიტის-ძე — მილიციის ზემდეგი.

**მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“**

**აჯუნცევი** ვილენ ალექსანდრეს-ძე — შინაგანი სამსახურის მაიორი.

**არუნაშვილი** ივანე ალექსანდრეს-ძე — მილიციის ზემდეგი.

**ბეჟანიძე** მიხეილ ბილალის-ძე — მილიციის კაპიტანი.

**ბელთაძე** ამირიდო ფილიპეს-ძე — მილიციის მაიორი.

**ბერიტაშვილი** ზაქარია ვასილის-ძე — ეფრეიტორი.

**ბეშია** შალიკო დიგოს-ძე — მილიციის ზემდეგი.

**ზოკუჩავა** ნიკოლოზ გერასიმეს-ძე — მილიციის ზემდეგი.

**ზუხრაშვილი** [illegible] — მილიციის უფროსი სერჟანტი.

**გასიეჯა** [illegible] საზოგადოებრივი [illegible] სამინისტროს სამდივნოს უფროსი ინსპექტორი.

**დარსანია** არტემ სტეფანეს-ძე — მილიციის სერჟანტი.

**ჯამაგიძე** ვალიკო სიმონის-ძე — მილიციის სერჟანტი.

**ჯიჯოევი** ვლადიმერ პავლეს-ძე — შინაგანი სამსახურის კაპიტანი.

**დონაძე** გენადი სოსიას-ძე — მილიციის მაიორი.

**კალინინი** ლევ მიხეილის-ძე — საინტენდანტო სამსახურის პოდპოლკოვნიკი.

**კვინცხაძე** ოთარ იასონის-ძე — მილიციის უფროსი სერჟანტი.

**კიკნაძე** მიხეილ ლევანის-ძე — შინაგანი სამსახურის პოდპოლკოვნიკი.

**ქორიძე** ვლადიმერ ანტონის-ძე — მილიციის სერჟანტი.

**კურტანიძე** მიხეილ გრიგოლის-ძე — მილიციის უმცროსი ლეიტენანტი.

**ლაბაძე** ალექსი ლეონტის-ძე — მილიციის მაიორი.

**მარგიევი** შოთა ანდრიას-ძე — მილიციის უფროსი სერჟანტი.

**მინასიანი** მკრტიჩ გრიგოლის-ძე — მილიციის უფროსი სერჟანტი.

**მოლაშვილი** დავით შალვას-ძე — შინაგანი სამსახურის მაიორი.

**მოსიაშვილი** არჩილ ნიკოლოზის-ძე — არასაუწყებო დაცვის განყოფილების ბრიგადირი.

**ფიცხელაური** მიხეილ ნიკოლოზის-ძე — მილიციის მაიორი.

**რომაშოვი** ალექსანდრე ექვთიმეს-ძე — შინაგანი სამსახურის ზემდეგი.

**სუხიაშვილი** პავლე გალაქტიონის-ძე — მილიციის მაიორი.

**ჩხუტიაშვილი** ვლადიმერ გიორგის-ძე — მილიციის კაპიტანი.

**შენგელაია** მაერა იასონის ასული — მილიციის მაიორი.

## ᲛᲐᲛᲐᲪᲘ ᲖᲔᲛᲓᲔᲒᲘ



ელვის სისწრაფით გავრცელდა ქალაქში ცნობა — დიდუბეში უბნის რწმუნებული მოუკლავთ, იარაღი აურთმევიათ, ტანსაცმელი გაუხდიათ, ბოროტმოქმედები მიმალულან. ამბავი, რომელიც ყველას პირზე ეკერა და ზედ ათასგვარი ჭორი მოაყოლეს, სინამდვილეს შეეფერებოდა: დღისით-მზისით საშინელი დანაშაული მოხდა.

წკრიალებდნენ მილიციის რაიგანყოფილების სამორიგეოს ტელეფონები. რაიონიდან რაიონს, ქალაქიდან ქალაქს გადაეცემოდა ბოროტმოქმედთა მიახლოებითი აღწერილობა. სასწრაფოდ გამოყოფილი ოპერატიული ჯგუფები გულდასმით ამოწმებდნენ საეჭვო ადგილებს, სადაც დამნაშავეებს შეეძლოთ დროებით შეეფარებინათ თავი. ერთ-ერთ ჯგუფში, რომელსაც დავალებული ჰქონდა ვაგზლის ახლომახლო მიდამოების შემოწმება, შედიოდა მილიციის ლენინის რაიგანყოფილების ათმეთაური გრიგოლ არჩვაძე.

დიდუბის რკინიგზის ხაზთან, სადაც სათადარიგო ვაგონები ჩაემწკრივებინათ, მილიციის თანამშრომლებმა ორი უცნობი პირი შენიშნეს. ერთ-ერთს იღლიაში კოსტიუმი ამოეჩარა და გადასასვლელი ხიდისაკენ ჩქარი ნაბიჯით მიემართებოდა. მას უკან მიჰყვებოდა საშუალო ტანის მამაკაცი, რომელიც მიდამოს ფრთხილად ათვალიერებდა, გულისჯიბეში ხელი ჩაედო და წამდაუწუმ უკან იხედებოდა.

— ისინი არიან! — ჩაილაპარაკა ერთმა.

— ყოველ შემთხვევაში საეჭვოდ იყურებიან! — თქვა გრიგოლ არჩვაძემ და ნაბიჯს აუჩქარა.

წინ მიმავლებმაც საფრთხე იგრძნეს და სადგურისაკენ გაიქცნენ, რკინიგზის ლიანდაგის ახლოს დაყრილ მორებს ამოეფარნენ და მილიციის მუშაკებს სროლა აუტეხეს. უკანდახევა არ შეიძლებოდა. გრიგოლ არჩვაძემ შენიშნა, რომ ბოროტმოქმედთაგან ერთი მარჯვნივ გახონდა, თხრილში ჩაწვა და იარაღმომარჯვებულმა მოხერხებული ადგილი დაიკავა. ათმეთაური მიწას გაეკრა, სწრაფად გახოხდა, ზურგიდან შემოუარა თხრილს და მაშინ, როდესაც ბანდიტს მილიციის თანამშრომლისათვის სიცოცხლე უნდა მოესწრაფა, მთელი ტანით წამოიმართა, მიმინოსავით დააცხრა მკვლელს და თვალისდახამხამებაში იარაღი აართვა.

მალე შეპყრობილის ბედი ეწია მის მეგობარს მძარცველ-რეციდივისტს.

გამოირკვა, რომ ბანდიტებს რამდენიმე დღის წინათ გადაეწყვიტათ შეიარაღებულიყვნენ და დაეწყოთ მშვიდობიანი მოსახლეობის ძარცვა. სასროლი იარაღის ხელში ჩაგდების მიზნით მოიფიქრეს მილიციის თანამშრომლის მოკვლა. რაც სისრულეში მოიყვანეს. მაგრამ რისხვას ვერ გაექცნენ და კანონიერების მთელი სიმკაცრით დაისაჯნენ საშიში ბოროტმოქმედები.

ოცდაცხრა წელიწადი — დაძაბული შრომისა და უძილო ღამეებით აღსავსე წლები აკავშირებს გრიგოლ არჩვაძეს საყვარელ საქმესთან და არ ყოფილა შემთხვევა, რომ პირნათლად არ შეესრულებინოს ბრძანება თუ დავალება. საზღაური? პატივისცემა, უსაზღვრო სიყვარული ყველა იმათგან, ვისთანაც მას უმუშავნია.

ერთ საღამოს სამორიგეოში გაფითრებული, აკანკალებული ტაქსის შოფერი შემოვიდა. სიმწრისაგან ქუდს ჭმუჭნიდა, კარებთან იდგა და ნაბიჯის გადადგმას ვერ ახერხებდა.

მიუხვდა გრიგოლი, რაღაც უბედურება ტრიალებდა მოსულის თავზე, მიუახლოვდა, გვერდით დადგმულ სკამზე მიუთითა და დაყვავებით უთხრა:

— დამშვიდდი, ნუ გეშინია.

თითქოს ამას ელოდაო შოფერი, ოდნავ დაწყნარდა და ამოილუღლუღა: — გამძარცვეს, ფული, საათი და ცხვირსახოციც კი წამართვეს. ახალგაზრდები არიან, დანებით შეიარაღებულნი. საშუალო ტანისა, მწითურები, ზუსტად ასეა, არ ვცდები. ავჭალის გზატკეცილზე გამძარცვეს.

ოპერატიული ჯგუფი სამი კაცის შემადგენლობით შემთხვევის ადგილისაკენ გაემართა, მთელი ორი საათი, რაიონის ერთი უბნიდან მეორეზე დადიოდნენ მილიციის მუშაკები. უცბად ხაზზე ტრამვაი გამოჩნდა. ბოლო ვაგონში ორი ახალგაზრდა ფანჯარას აკვროდა და საეჭვოდ აცეცებდა თვალებს.

— სწრაფად! — ჩაილაპარაკა გრიგოლმა და ვაგონს შეახტა.

მილიციის მუშაკის გამოჩენაზე ახალგაზრდები წამოიჭრნენ და გასასვლელისაკენ გაქმართნენ, მაგრამ ერთ მათგანს მკლავში სწვდა გრიგოლი და დამორჩილება მოსთხოვა. პასუხად წინ მიმავალმა დანა იძრო. ათმეთაურმა მოგვერდით კუთხეში მიაგდო მოძალადე და ამ დროს თანამშრომლებიც გამოჩნდნენ. მძარცველებს, რომლებიც დაზარალებულმა ამოიცნო, ჯიბეში აღმოაჩნდათ ნაძარცვი ფული, საათი და ცხვირსახოცი.

ფხიზელი თვალის ჩეკისტს მკერდს უმშვენებს მედლები და მილიციის ფრიადოსნის სამკერდე ნიშანი, დღეს კი ქვეყნდება ბრძანებულება მისი ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

დილიდანვე გვიან საღამომდე პოსტზეა ზემდეგი. მას თითქმის ყველა იცნობს უბანში, გულითადად ესალმებიან სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამცველს...

**პ. ხვიჩია.**

• • •

**სურათზე:** გ. არჩვაძე.

## ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

### ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲐᲜᲔᲕᲠᲘ

**ათენი,** 21 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ათენის რადიო იუწყება, პ. პიპინელისმა გუშინ დილით მეფეს ფიცი მისცა როგორც საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

პიპინელისი იყო საბერძნეთის გარდამავალი მთავრობის პრემიერ-მინისტრი 1963 წელს კარამანლისის მთავრობის გადადგომის შემდეგ. წარსულში მას არაერთგზის სჭერია საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი, ყოფილა კოორდინაციის მინისტრი კანელოპულოსის მთავრობაში, რომელიც მიმდინარე წლის აპრილში დაამხეს სამხედრო გადატრიალების შედეგად.

პიპინელისის დანიშვნა, რომლის კანდიდატურას თავდაპირველად მხარი არ დაუჭირეს მთავრობის სამხედრო ლიდერებმა, კომპრომისია საშინაო პოლიტიკურ ბრძოლაში, რომელიც ახლა მიმდინარეობს ათენის უმაღლეს წრეებში.

პოლიტიკური მიმომხილველები ხაზს უსვამენ, რომ ამ კომპრომისს მიაღწიეს კვიპროსის გამო საბერძნეთ-თურქეთის ურთიერთობის გამწვავების პირობებში, რამაც საბერძნეთის სამხედრო მთავრობა გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდო და კიდევ უფრო შეარყია მისი პოზიციები საბერძნეთის შიგნით.

### ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ

**ნიუ-იორკი,** 21 ნოემბერი. საკდესის კორესპონდენტი გ. ფრიმენი იუწყება: გუშინ დილით ნიუ-იორკის ბირჟაზე მკვეთრად დაეცა აქციების კურსი, რაც გამოხატავს ფინანსური წრეების დიდ შეშფოთებას გირვანქა სტერლინგის დევალვაციასთან და შეერთებულ შტატებში პროცენტული განაკვეთების შემდგომ გადიდებასთან დაკავშირებით.

ბირჟაზე შემჩნეულია გარიგებათა გაცხოველება.

აქციების კურსის დაცემა მოხდა მაშინ, როცა ამერიკის უდიდეს გაზეთებში დაიბეჭდა სტატიები, რომლებშიც გამოთქვამდნენ შიშს, რომ გირვანქა სტერლინგის დევალვაციამ შეიძლება სერიოზული გავლენა მოახდინოს შეერთებული შტატების ეკონომიკაზე და განსაკუთრებით ამერიკის დოლარის პოზიციებზე.

გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ სარედაქციო სტატიაში აღნიშნავს, რომ, თუმცა ჯერ კიდევ ძალიან ადრეა იმაზე ლაპარაკი, მოჰყვება თუ არა გირვანქა სტერლინგის დევალვაციას „საშიში ჯაჭვური რეაქცია“, მაგრამ არის მთელი რიგი საგანგაშო სიგნალები, რომლებიც მოწმობენ, რომ დოლარს საფრთხე ექმნება. გაზეთი აღნიშნავს, რომ შეერთებული შტატების საგარეო ვაჭრობის ბალანსი დიდი და ქრონიკული დეფიციტით მთავრდება, რომ ფასები იზრდება და რომ, როგორც თვით პრეზიდენტი ჯონსონი აღიარებს, ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტმა წელს შეიძლება მიაღწიოს 35 მილიარდ დოლარს. გაზეთი მოუწოდებს მთავრობას უფრო მკაცრი შეზღუდვები დააწესოს შეერთებული შტატებიდან დოლარის გადინებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური პირები ცდილობენ დაამშვიდონ საზოგადოებრივი აზრი გირვანქა სტერლინგის დევალვაციის შესაძლო შედეგების გამო, ვაშინგტონის ოფიციალური წრეები, როგორც გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ იუწყება, კერძო საუბრებში აღიარებენ, რომ ინგლისის მოქმედება „ზიანს მიაყენებს ფინანსურ ბაზრებს მთელ მსოფლიოში“.

საქმიან წრეებში შეშფოთებას იწვევს პროცენტული განაკვეთების გადიდება, რაც დაიწყო ფედერალური სარეზერვო ბანკის ინიციატივით აშკარად იმ მიზნით, რომ ნაწილობრივ მაინც შეამცირონ დოლარის გადინება შეერთებული შტატებიდან. „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ფინანსური მიმომხილველი ჰეინემანი აღნიშნავს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში პროცენტულმა განაკვეთებმა უკვე მიაღწია ყველაზე მაღალ დონეს სამოქალაქო ომის შემდეგ, რაც 100 წელიწადზე მეტი ხნის წინათ იყო. პროცენტული განაკვეთების შემდგომმა გადიდებამ შეიძლება ცუდი გავლენა მოახდინოს საბინაო მშენებლობაზე, და, შესაძლოა, მომხმარებლების მიერ ავტომობილებისა და სხვა საქონლის ყიდვაზე.

### ᲡᲐᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲝ ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘ

**ტოკიო,** 21 ნოემბერი. (საკდესი). პრემიერ-მინისტრ სატოს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯონსონთან მოლაპარაკების შედეგების წინააღმდეგ ასიათასიანი საპროტესტო მიტინგი გაიმართა გუშინ საღამოს ნაჰაში (ოკინავის ადმინისტრაციული ცენტრი). მიტინგში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების, შეერთებული შტატების მიერ ოკუპირებული ოკინავის პროფკავშირების, ქალთა, ახალგაზრდათა და სხვა დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. მათ მოითხოვეს დაუყოვნებლივ დაუბრუნონ ოკინავა იაპონიას.

შემდეგ მიტინგის მონაწილეებმა დემონსტრაცია გამართეს ქალაქის ქუჩებში, სადაც გამოფენილი იყო სამგლოვიარო ალმები იმის გამო, რომ კუნძულების შეერთება იაპონიასთან შორეული მომავლისათვის გადაიდო.



**მალის** სახელმწიფოს ავიაკომპანია „ერ-მალის“ ისტორიაში პირველად ოცდახუთი წლის მფრინავმა უ. ბოკუმმა განახორციელა გაფრენა „ილ-18“ თვითმფრინავით, როგორც პირველმა პილოტმა. სამი წელი სწავლობდა უ. ბოკუმი სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სასწავლებლებში.

**სურათზე:** პირველი პილოტი უსმან ბოკუმი და ბაქოელი შტურმანი ა. საზონოვი.

ფოტო კ. კორონანცევისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

### ᲠᲝᲒᲝᲠ ᲔᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲘᲐᲜ ᲓᲔᲕᲐᲚᲕᲐᲪᲘᲐᲡ

**ლონდონი,** 20 ნოემბერი. (საკდესი). გირვანქა სტერლინგის დევალვაციამ ჯაჭვური რეაქცია გამოიწვია ბევრ ქვეყანაში, რომლებიც ასე თუ ისე დაკავშირებული არიან სტერლინგის ვალუტასთან. როგორც პრესა იუწყება, ამჟამად ასეთი მდგომარეობაა: ინგლისის შემდეგ თავიანთი ვალუტის დევალვაცია განახორციელეს დანიამ, ესპანეთმა, ისრაელმა, მალტამ, გვიანამ, ბერმუდამ, ჰონკონგმა ირლანდიამ, ფიჯიმ. მთელ რიგ ქვეყნებს ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტიათ მოახდინონ თუ არა თავიანთი ვალუტის დევალვაცია. ამ ქვეყნების რიცხვს ეკუთვნიან ახალი ზელანდია, განა, პორტუგალია, ბრიტანეთის ჰონდურასი, დომინგოს რესპუბლიკა, იამაიკა, ნიგერია, სუდანი, კვიპროსი, პაკისტანი, ცეილონი, არგენტინა, ისლანდია, მალავი, იორდანია, ნაირობში მალე უნდა გაიმართოს კენიის, უგანდისა და ტანზანიის ფინანსთა მინისტრებისა და ცენტრალურ ბანკთა მმართველების თათბირი, რომელზეც განიხილავენ შექმნილ მდგომარეობას.

იმ ქვეყნების რიცხვში, რომლებსაც არ მოუხდენიათ თავიანთი ვალუტის დევალვაცია, არიან — შეერთებული შტატები, საერთო ბაზრის ყველა ქვეყანა, შემდეგ ავსტრალია, შვეიცარია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, იაპონია, როდეზია, ნორვეგია, შვეცია, ფინეთი, ირანი, ინდოეთი, თურქეთი, ზამბია, სინგაპური, ფილიპინები, მალაიზია, ავსტრია. შვიდმა არაბულმა ქვეყანამ განაცხადა, განახორციელონ თავიანთი ვალუტების დევალვაცია: ეს ქვეყნები არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა, ლიბანი, კუვეიტი, ბაჰრეინი, ერაყი, საუდის არაბეთი და ლიბია. მოელიან იორდანიის გადაწყვეტილებას.

### ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲡ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲐᲥᲢᲔᲑᲘ

**ლონდონი,** 21 ნოემბერი. (საკდესი). იორდანიის სამხედრო სარდლობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დღეს დილით ისრაელის არმიამ არტილერიის ცეცხლი დაუშინა იორდანიის არმიის პოზიციებს მდინარე იორდანის აღმოსავლეთ ნაპირზე. იორდანიის ქვედანაყოფებმა ცეცხლითვე უპასუხეს. ამას იტყობინება ამანიდან რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი.

**ნიუ-იორკი,** 21 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ასოშიეტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ტელ-ავივიდან იტყობინება, ისრაელის არმიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისრაელის ავიაგამანადგურებელმა — ბომბდამშენებმა დღეს დილით დაბომბეს იორდანიის არმიის სატანკო ქვედანაყოფები მდინარე იორდანის აღმოსავლეთ ნაპირზე. ამ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ოპერაციის მიზანი იყო „მოესპო მტრის პოზიციების საცეცხლე წერტილები“.

**ლონდონი,** 21 ნოემბერი. (საკდესი). ისრაელის თვითმფრინავებმა დღეს დაბომბეს არაბ ლტოლვილთა ბანაკი ელკარამში მდინარე იორდანის აღმოსავლეთ ნაპირზე. ამას იტყობინება რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი, რომელიც ამანის რადიოს იმოწმებს.

### ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲔᲚᲘ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲔᲑᲘ ᲘᲑᲠᲫᲕᲘᲐᲜ

**ჰანოი,** 21 ნოემბერი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების არმიის მებრძოლები, რომლებიც თხუზაუმოტის პროვინციაში მოქმედებენ, 9 ნოემბერს ღამით თავს დაესხნენ ამერიკის სამხედრო ბაზას დაუტიენგში, აგრეთვე იერიში მიიტანეს ამ პროვინციაში მოწინააღმდეგის ბევრ სხვა პოზიციებზე.

ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იმოწმებს სააგენტო „განთავისუფლებას“ და იუწყება, რომ ამ საომარი მოქმედების შედეგად სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების არმიის მებრძოლებმა დახოცეს და დაჭრეს 300-ზე მეტი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე და სამხრეთ ვიეტნამის მარიონეტული არმიის ჯარისკაცი.

### „ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲘᲗ“ ᲓᲐᲣᲨᲘᲜᲔᲡ ᲪᲔᲪᲮᲚᲘ

**ლონდონი,** 21 ნოემბერი. (საკდესი). დღეს ამერიკის ვერტმფრინავმა „შეცდომით“ ტყვიამფრქვევის ცეცხლი დაუშინა სამხრეთვიეტნამელი ჯარების პოზიციებს.

როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი საიგონიდან იტყობინება, ამ ცეცხლის დაშენის შედეგად დაიხოცა 11 და დაიჭრა 33 სამხრეთვიეტნამელი სამხედრო მოსამსახურე.

### ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐᲚᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲔᲡᲘᲐ

**კოპენჰაგენი,** 20 ნოემბერი. (საკდესი). დღეს დანიის ქალაქ როსკილში დაიწყო ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო დანაშაულობათა გამოძიების საერთაშორისო ტრიბუნალის მეორე სესია. ტრიბუნალის სესია მიმდინარეობს ფრანგი მეცნიერის ლორან შვარცის თავმჯდომარეობით. ტრიბუნალის სხდომებზე მოისმენენ მოწმეთა ჩვენებებს და წარადგენენ ნივთიერ მტკიცებულებებსა და დოკუმენტებს.

### ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘᲡ ᲔᲞᲘᲖᲝᲝᲢᲘᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ

**ლონდონი,** 21 ნოემბერი. (საკდესი). ინგლისში ძლიერ გავრცელდა თურქულის ეპიზოოტია. ავადმყოფობის შემდგომი გავრცელების თავიდან ასაცილებლად მოსპობილი შინაური ცხოველების რიცხვმა 120 ათასს გადააჭარბა. მიუხედავად ამისა, ავადმყოფობა უკვე მოედო ინგლისის ბევრ რაიონს და უელსში შეაღწია.

მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს ეპიზოოტიის ლიკვიდაციისათვის. ინგლისსა და უელსში აკრძალულია ცხოველთა გადაყვანა სპეციალური ნებართვის მიუღებლად და მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ცხვრისა და ღორის გაყიდვა.

თურქულის ახლანდელი ეპიზოოტია ერთ-ერთი ყველაზე დიდია ამ საუკუნეში, განაცხადა თემთა პალატაში სოფლის მეურნეობის მინისტრმა ფ. პიერტმა.

## ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲝᲛᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

**საბჭოთა** კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტში მივიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეები — მაიკლ ლინდნერი, კრეიგ ანდერსონი, რიჩარდ ბეილი და ჯონ ბარილა, რომლებიც ამას წინათ ჩამოვიდნენ საბჭოთა კავშირში იაპონიიდან.

როგორც პრესიდან ცნობილია, ამ ცოტა ხნის წინათ ისინი ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების სამხედრო მეზღვაურები იყვნენ და მსახურობდნენ ამერიკის ავიამზიდ „ინტრეპიდზე“.

ამ ოთხმა ამერიკელმა მეზღვაურმა გადაწყვიტა, რომ მეტი აღარ შეუძლიათ მონაწილეობდნენ სისხლიან დანაშაულში, რომელსაც მათი მთავრობა სჩადის ვიეტნამში და სთხოვეს საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტს დახმარება, რომ გადავიდნენ მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, მიეცეთ საშუალება მთელი ხმით განაცხადონ, რომ გმობენ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიას ვიეტნამში და მზად არიან თავიანთი ცხოვრება მოახმარონ ბრძოლას სისხლიანი ბოროტმოქმედების წინააღმდეგ, რასაც ამერიკელი იმპერიალისტები სჩადიან.

თავიანთ განცხადებაში ისინი წერენ:

„საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტს

ჩვენ ოთხნი: კრეიგ ანდერსონი, ჯონ ბარილა, რიჩარდ ბეილი და მაიკლ ლინდნერი ვილაშქრებთ ყველა აგრესიული ომის წინააღმდეგ საერთოდ და განსაკუთრებით ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ ვიეტნამში. ვილაშქრებთ იმის წინააღმდეგ, რომ გრძელდება ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ძლიერების ზრდა ვიეტნამსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სხვა ქვეყნებში.

ჩვენი აზრით, დანაშაულია, როცა ტექნიკურად განვითარებული ქვეყანა ულეტს სამოქალაქო პირებს და ანგრევს პატარა განვითარებად სასოფლო-სამეურნეო ქვეყანას.

ჩვენი აზრით, ვიეტნამელი ხალხი თვითონ უნდა განაგებდეს თავის ბედს.

ჩვენ მხარს ვუჭერთ წინადადებას, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მთლიანად გაიყვანონ თავიანთი ჯარები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან.

ხალხის უმრავლესობა მთელ მსოფლიოში ილაშქრებს ომის წინააღმდეგ. ამის გამო ჩვენ მიგვაჩნია აგრეთვე, რომ მთელი შეიარაღებული ძალები მინიმუმამდე უნდა შემცირდეს.

საბჭოთა კავშირში იმიტომ ჩამოვედით, რომ გვესმის — საბჭოთა სახელმწიფო ამ ომის წინააღმდეგია. ჩვენ აქ იმას დასადასტურებლად ვართ, რომ არიან მაღალი მორალური პასუხისმგებლობის მქონე ნამდვილი ამერიკელები, რომლებიც აგრეთვე ომის წინააღმდეგ ილაშქრებენ. ჩვენი აზრით, მშვიდობის მოყვარე საბჭოთა კავშირს შეუძლია დაგვეხმაროს მშვიდობისათვის ბრძოლაში.

რაც შეეხება ჩვენს შემდგომ გეგმებს, ვთხოვთ საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტს და საბჭოთა კავშირის ხალხს დაგვეხმარონ მშვიდობისათვის ბრძოლაში, ხელი შეგვიწყონ, რომ გადავიდეთ რომელიმე ნეიტრალურ ქვეყანაში, სადაც კონტაქტს დავამყარებდით მშვიდობისათვის მებრძოლ საერთაშორისო ძალებთან და აქტიურად დავეხმარებოდით მათ.

ქვემოთ მოგითხრობთ იმ ამბებზე, რომლებიც წინ უსწრებდა ჩვენს მიერ გადაწყვეტილების მიღებას დაგვეტოვებინა სამხედრო სამსახური. ჩვენ ოთხნი ერთმანეთს შევხვდით 1967 წლის სექტემბერში ამერიკის ავიამზიდ „ინტრეპიდზე“, რომელიც მაშინ ტონკინის ყურეში იდგა. მაიკლ ლინდნერი, რიჩარდ ბეილი და ჯონ ბარილა ემსახურებოდნენ ავიამზიდის კატაპულტს. მაიკლი მუშაობის დროს ხვდებოდა კრეიგ ანდერსონს, რომელიც შემდეგ ორ მეგობარს გააცნო.

თითოეულ ჩვენგანს ჰქონდა საკუთარი აზრი ომის შესახებ, და ომისადმი ჩვენი უარყოფითი დამოკიდებულება ხშირად ჩვენი დისკუსიების თემა იყო ხოლმე.

ტონკინის ყურეში საბრძოლო პოზიციაზე მთელი ერთი თვის ყოფნის შემდეგ „ინტრეპიდმა“ ღუზა ჩაუშვა იაპონიის იოკუსუკის ნავსადგურში, რათა ეკიპაჟს ერთი თვით დაესვენა. ჩვენ ოთხს 23 ოქტომბერს მოგვცეს ნაპირზე გადასვლის უფლება. გავიხადეთ სამხედრო ფორმა, ჩავიცვით სამოქალაქო ტანსაცმელი, ჩავსხედით მატარებელში და ტოკიოს გავემგზავრეთ.

სავსებით შეგნებული გვქონდა, თუ რა შეიძლება მოჰყოლოდა ჩვენს ასეთ მოქმედებას.

25 ოქტომბერს თხოვნით მივმართეთ ზოგიერთ იაპონელს, რომლებმაც თავის მხრივ ჩვენი მდგომარეობა აცნობეს იაპონიის მშვიდობის მოძრაობას. შემდეგ შევხვდით ამ მოძრაობის წარმომადგენლებს და მათთან ერთად განვიხილეთ საკითხები, თუ როგორ გამოგვეთქვა უფრო უშიშრად და საჯაროდ ჩვენი შეხედულებანი. შემდეგ, როცა გადავწყვიტეთ, რომ ამას გავაკეთებთ კინოფირზე გადაღებული პრესკონფერენციის მეშვეობით, მოვილაპარაკეთ, თუ როგორ დაგვეტოვებინა უხიფათოდ იაპონია.

კრეიგ ანდერსონი
ჯონ მ. ბარილა
რიჩარდ დ. ბეილი
მაიკლ ა. ლინდნერი

1967 წლის 17 ნოემბერი“

საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტი გამოთქვამს რწმენას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ამ მოქალაქეთა თხოვნასა და განცხადებას ფართოდ გამოეხმაურება და მხარს დაუჭერს ყველა მშვიდობისმოყვარე. მაიკლ ლინდნერს, კრეიგ ანდერსონს, რიჩარდ ბეილისა და ჯონ ბარილას მიეცემათ ყველა შესაძლებლობა, რათა მათი ხმა გაიგონონ საზოგადოებრიობის უფართოესმა წრეებმა, რომ მათი მიმართვა შეუერთდეს ხალხთა მრისხანე პროტესტის მძლავრ ნაკადს ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტების სისხლიანი აგრესიის წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტი ეხმარებოდა და კვლავაც დაეხმარება და ფართოდ დაუჭერს მხარს ყველა პირსა და ორგანიზაციას, რომლებიც იბრძოდნენ და იბრძვიან ვიეტნამში აგრესიული ომის შეწყვეტისათვის, იმისათვის, რომ ვიეტნამელ ხალხს მიეცეს უფლება თვითონვე განსაზღვროს თავისი ბედი. (საკდესი).

## ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠ ᲐᲡᲐᲛᲑᲚᲔᲐᲨᲘ

**ნიუ-იორკი.** 21 ნოემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ გუშინ დაიწყო განხილვა საკითხისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა აღდგენის შესახებ. ამ საკითხის გამო ასამბლეას წარუდგინეს რეზოლუციის ორი პროექტი. სოციალისტური და ზოგიერთი სხვა ქვეყნის რეზოლუციის პროექტი ითვალისწინებს ცნონ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლები ჩინეთის ერთადერთ კანონიერ წარმომადგენლებად გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

რეზოლუციის მეორე პროექტი, რომელიც წამოაყენეს ავსტრალიის, ბელგიის, ბოლივიის, ბრაზილიის, გაბონის, კოლუმბიის, მადაგასკარის რესპუბლიკის, ნიკარაგუის, ახალი ზელანდიის, ამერიკის შეერთებული შტატების, ფილიპინების, ტაილანდის, ტოგოსა და იაპონიის დელეგაციებმა, ითვალისწინებს დამტკიცდეს გენერალური ასამბლეის წინა გადაწყვეტილებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მხოლოდ ჩან კაი-შის წარმომადგენელთა დატოვების შესახებ.

გენერალური ასამბლეის გუშინდელ სხდომაზე გამოვიდნენ იაპონიის, ფილიპინებისა და ტაივანის წარმომადგენლები, რომლებმაც მხარი დაუჭირეს რეზოლუციის მეორე პროექტს. კამბოჯის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა პირველ პროექტს.

კომუნისტი

მე-3 გვერდი, ოთხშაბათი, 22 ნოემბერი, 1967 წ.

# მოსავლის დღესასწაული

## შრომობენ, ზეიმობენ...

ნადიკვარიდან თუ ილიას გორაკიდან, ბახტრიონიდან თუ ცივგომბორიდან — სიცოცხლის გადასახედიდან შემოდგომის იისფერ ნისლში გახვეული ალაზნის ველი მოჩანს. კავკასიონის მთათა მწვერვალები დაუთოვია, ალაზნის მადლიან ველზე კი ბარაქიანი რთველის შემდეგ მევენახეები კვლავ ზვრებში ტრიალებენ, ხოდაბუნებს კი მზრალად ხნავენ, მიწას საგაზაფხულო თესვისათვის ამზადებენ. მკლავმოუღლელმა და გამრჯე კოლმეურნეებმა შრომა ბარაქიანი იციან, ლხინი, სტუმრის დახვედრა — ვაჟკაცური და გულწრფელი. მოსავლის ზეიმი გადაიხადეს თელაველმა, ყვარლელმა და ახმეტელმა მშრომელებმა. ნადიკვარზე, ილიას გორის ძირას და ბახტრიონზე ნამდვილი ლხინი იყო, შრომის ადამიანები მღეროდნენ, ცეკვავდნენ, თავიანთი ნაამაგარი საქვეყნოდ გამოეტანათ.

სისხლის წვიმების შემდეგ ზეზვა გაფრინდაულის ნატერფალ ბახტრიონს ასეთი ხალხმრავლობა არ ახსოვს. 15 ათასამდე ახმეტელი მშრომელი ზეიმობდა ამ დღეს პურ-ღვინის სიუხვეს, ცხვარ-მეცხვარის ნაამაგარის ხვავსა და ბარაქას. ანდა როგორ არ იზეიმებს ახმეტელი მევენახე, როცა 8 ათასი ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მარნებში 12 ათას ტონამდე ყურძენი დააბინავეს, ალვნელმა მეცხვარეებმა და ქისტაურელმა მეაბრეშუმეებმა ხომ ნამდვილად გმირობა გამოიჩინეს, უხვად აწარმოეს ხორცი, რძე, მატყლი, აბრეშუმის პარკი.

მოსავლის სიუხვის ზეიმზე, რომელიც ძველთაძველი ბახტრიონის ციხის ნანგრევებზე მოეწყო, თუშ-ფშავ-ხევსურთა ქალ-ვაჟნი ლხინობდნენ და იქ დამსწრე თანასოფლელებსა და სტუმრებსაც ალხენდნენ.

ზეიმი კი ასე დაიწყო: „ზეზვა გაფრინდაულის" წინამძღოლობით ცხენოსანთა ლაშქარი ბახტრიონის ძველი ციხისაკენ სიმღერით დაიძრა. ციხის თავზე ცეცხლი აანთეს, შუშხუნებმა ცა სამჯერ გადასერეს. ვერტმფრინავმა ბებერი ციხის თავზე წრე მოხაზა, და ფერად-ფერადი ფურცლებით დაიფარა არე-მარე.

სახელდახელოდ მოწყობილი ტრიბუნის წინ მოდიან ახმეტის რაიონის მკლავმოუღლელი მევენახეები, რომლებსაც ხელში ყურძნის აკიდოები, კალათები და ჯაგნები, ჩურჩხელები უჭირავთ. ტრიბუნის წინ ახმეტელებმა აჩვენეს რთველი, გააკეთეს ფელამუში, ამოავლეს ჩურჩხელები. მევენახეებს ჯანგაუტეხელი მეცხვარეები სცვლიან. მოდიან ცხვრის ფარები. რადიორეპროდუქტორიდან მწყემსური სიმღერები ეფინება ბახტრიონის შემოგარენს. გატყავდა ცხვარი, შეიწვა მწვადები და სტუმრებს ჩამოურიგეს.

სასოფლო-სამეურნეო სიუხვის ჩვენება დამთავრდა. ახმეტელები ქ. რუსთავის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლთან ერთად ასრულებენ ქართულ ხალხურ სიმღერებსა და ცეკვებს. ქუხს ტაში. მოწონების ყიჟინა ისმის, ცივგომბორისა და კავკასიონის მთათა ჭიუხებს სწვდება შრომის ადამიანთა ომახიანი სიმღერები.

...გურული სიმღერების ჰანგები მოეფინა მიდამოს. ციტრუსებით დამშვენებული დიდი ხონჩით შემოდიან მახარაძის რაიონის მშრომელთა წარგზავნილები. ისინი გამარჯვებას ულოცავენ ახმეტელ მშრომელებს. ტაშით შეეგებნენ ახმეტელები ასკანის კოლმეურნეობის თავმჯდომარის გ. ვასაძის გამოსვლას.

გურულ სიმღერებს ცეკვები სცვლის. მერე კი ბერიკაობა გამართეს ახმეტელებმა. ლხინი აქვთ, მღერიან, ცეკვავენ!

— ხალხნო და ჯამაათნო! ჩვენს ხალხს გაუმარჯოს, ჩვენს პარტიას გაუმარჯოს, ამ ბარაქის შემქმნელთ გაუმარჯოთ! — ისმის რეპროდუქტორიდან ომახიანი ხმა, ეს დედაქალაქიდან ჩამოსული სტუმრები ულოცავენ წარმატებას ახმეტელ მშრომელებს...

— მადლობა პარტიას, მადლობა საბჭოთა მთავრობას, სამშობლოს დიდება, დიდება შრომას! — ამთავრებს სიტყვას საქართველოს კპ ახმეტის რაიკომის პირველი მდივანი ა. ბატიაშვილი.

ახმეტელებს დღესასწაული, მოსავლის ზეიმი მიულოცა და ახალი შრომითი გამარჯვებები უსურვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ზ. გელდიაშვილმა. სტუმართა შორის იყვნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ი. ჩოდრიშვილი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეცხოველეობის სამმართველოს უფროსი თ. ჟენია, წითელწყაროს რაიონის ჯაფარიძის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ნ. ყოჩიაშვილი, პრესის, რადიოს, ტელევიზიის მუშაკები და სხვები.

გვიანობამდე გაგრძელდა ბახტრიონზე ზეიმი, რომელმაც მერე ახმეტის რაიონის მშრომელთა ოჯახებში გადაინაცვლა.

ნადიკვარზე, პატარა პავილიონებსა და დიდ საგამოფენო დარბაზებში, მწვანე მდელოზე ხილთა ქებაზე, ვენახისა და მინდვრის სიუხვეზე, ფერმების ბარაქაზე იყო სჯა-ბაასი.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნის შემდეგ უამრავი თელაველი მშრომელი შეიკრიბა სტადიონზე. აქ იყვნენ სტუმრები უკრაინიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, თბილისიდან, გორიდან და სხვ.

მოსავლის ზეიმზე ვრცლად ილაპარაკა საქართველოს კპ თელავის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ვარდოშვილმა. მან მარჯვენა შეუქო და გამარჯვება მიულოცა ჭულაანელებს, რუისპირელებს, სანიორელებს, წინანდლელებს, კისისხეველებს, ნაფარეულელებს, კონდოლელებს, ლალისყურელებს. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და დამზადების საქმეში კი პირველ, მეორე და მესამე ადგილებზე ჭულაანის, რუისპირისა და სანიორის კოლმეურნეობები გამოვიდნენ. ყურძნის წარმოებასა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმების შესრულებისათვის პირველი ადგილი სანიორის კოლმეურნეობას მიეკუთვნა. შემდეგ მოდიან ნაფარეულისა და წინანდლის საბჭოთა მეურნეობები, ვანთის, ჭულაანისა და გულგულის კოლმეურნეობები. მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების საქმეში რუისპირის კოლმეურნეობა პირველობს, მეორე ადგილზეა ჭულაანის კოლმეურნეობა, მესამეზე — ლალისყურის მეცხვარეობის საკოლმეურნეობათაშორისო მეურნეობა. მათ მიჰყვებიან სანიორის, ფშაველის და იყალთოს კოლმეურნეობები.

სასოფლო საბჭოებიდან პირველ, მეორე და მესამე ადგილებზე თეთრწყლების, ნაფარეულისა და კურდღელაურის სასოფლო საბჭოები არიან.

სამრეწველო საწარმოებს შორის გაშლილ სოცშეჯიბრებაში პირველი ადგილი თელავის ფიქალმარმარილოს კომბინატს ხვდა წილად, მეორე — ნაფარეულის ღვინის ქარხანას, მესამე — თელავის ღვინის ქარხანას. მათ შემდეგ მოდიან სატყეო მეურნეობა, ყველის და კარაქის ქარხანა, აკურისა და წინანდლის ღვინის ქარხნები. თელავის წინდის ქარხნის ნაწარმი — მამაკაცისა და ქალის წინდები საუცხოოა და ბევრ მნახველს იზიდავს.

სტადიონზე გამართულ ზეიმზე სწორედ მათ შესახებ იყო ლაპარაკი. რაიონის ყველა მშრომელის საპატიო წვლილია, რომ თელაველებმა სამშობლოს დიდი ოქტომბრის ზეიმამდე კარგა ხნით ადრე უპატაკეს ყურძნის, მარცვლეულის, ხილ-ბოსტნეულის დამზადების გეგმების შესრულება. ამის შესახებ ილაპარაკა საქართველოს კპ თელავის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ვარდოშვილმა.

თელაველ მშრომელებს გამარჯვება მიულოცეს და ახალი შრომითი წარმატებანი უსურვეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგემ ბ. ბიბიბერიამ, საქართველოს კპ გორის რაიკომის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა რ. ბზიშვილმა, უკრაინის კპ შარგოროდის რაიკომის პირველმა მდივანმა ლ. კლეპკომ, სომხეთის კპ ეხეგნაძორის რაიკომის პირველმა მდივანმა ო. ოვსეპიანმა, აზერბაიჯანის კპ სალიანის რაიკომის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ა. ჰუსეინოვამ. თელაველთა ზეიმში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და უმაღლესი სასწავლებლების განყოფილების გამგემ დ. ლაშქარაძემ, „საქსოფლტექნიკის" თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ზ. სეხნიაშვილმა და სხვებმა.

სიმღერები, ცეკვები, ხალხური გართობა-თამაშობანი უჩვენეს შეკრებილთ თელაველმა ახალგაზრდებმა.

ყვარლის რაიონის მშრომელები ორი წელია ზედიზედ ფართო ჩვენებით მონაწილეობენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე და ორჯერ დაიმსახურეს ამ გამოფენის პირველი ხარისხის დიპლომები.

ყვარლელთა შრომის ამსახველი გამოფენა კინოთეატრის ახალ შენობაში გახსნა საქართველოს კპ ყვარლის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. ზაუტაშვილმა, მოხსენებით გამოვიდა პარტიის ყვარლის რაიკომის მდივანი შ. იმერლიშვილი.

ყვარლელებმა უამინდობის მიუხედავად გადაჭარბებით შეასრულეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საიუბილეო წლის დამზადების გეგმები.

ხალისიანი შრომის, უხვი რთველის შემდეგ კახეთის რაიონებში ახლა მოსავლის დღესასწაულები იმართება. ილხენიან, ზეიმობენ შრომის შვილები. ბარაქა მათს შრომას, სიხარული მათს ოჯახებს!

ვ. გოზალიშვილი,
ჯ. რჩეულიშვილი,





სურათებზე: მარცხნივ — ბახტრიონზე, ღია ცის ქვეშ ახმეტის სარაიონო კულტურის სახლის თვითმოქმედი ანსამბლი ასრულებს ცეკვას „მწყემსურს"; მარჯვნივ — რაიონის სხვადასხვა სოფლის ახალგაზრდებმა ოსტატურად წარმოადგინეს ძველი ხალხური თამაშობა „ბერიკაობა".

ფოტო ვ. ყუშიტაშვილისა.

# კახათში თუ ახალკახათში?

### წერილი რედაქციას

„კომუნისტის" რედაქციაში მოვიდა ასეთი შინაარსის წერილი: „ვიდრე ჩვენს გულისტკივილს გაგაცნობდეთ, გვინდა წინასწარ რამდენიმე სიტყვა გითხრათ ჩვენს სოფელზე — ახალკახათზე. სოფელი რაიონულ ცენტრს — ზუგდიდს თხუთმეტიოდე კილომეტრით არის დაშორებული. ამ ხუთი წლის წინათ სოფელში ცალკე კოლმეურნეობა იყო, 1962 წელს კი კახათის მარქსის სახელობის კოლმეურნეობას შეუერთდა. კოლმეურნეობათა გამსხვილებამ დადებითი გავლენა მოახდინა საზოგადოებრივი მეურნეობის საერთო აღმავლობაზე, ახალკახათი კი ამის შედეგად რამდენადმე დაზარალდა — იგი მოწყვეტილი აღმოჩნდა სოფლის ძირითად კულტურულ-საყოფაცხოვრებო კერებს და კახათის სასოფლო საბჭოში შემავალ მივარდნილ უბნად იქცა.

ამიტომ ვიყავით ახალკახათელები ასე გახარებული, როცა გავიგეთ, ჩვენს სოფელში ჩაის ფაბრიკა აშენდება: შესაძლებლობა იქმნებოდა ჩვენი მიყრუებული უბანი კვლავ გამოცოცხლებულიყო.

ახალმა ფაბრიკამ მომსახურება უნდა გაუწიოს რაიონის ე. წ. ქვედა ზონის — კახათის, ორსანტიის, კოკის, განმუხურის, დარჩელის, ოქტომბრის კოლმეურნეობებსა და ანაკლიის საბჭოთა მეურნეობას, რომლებიც 3.000 ტონაზე მეტ ჩაის ფოთოლს აწარმოებენ წლიურად. გადაწყდა ფაბრიკა კახათის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე აშენებულიყო. ხოლო როცა კონკრეტულად ფაბრიკის ასაშენებლად ადგილის გამოყოფის შესახებ დაისვა საკითხი, კოლმეურნეობის გამგეობამ სოფელ ახალკახათის ცენტრალური უბანი შეარჩია და ამაზე სათანადოდ დასაბუთებული წერილიც მისწერა საქართველოს ჩაის ტრესტს, პარტიის ზუგდიდის რაიკომს და რაისაბჭოს აღმასკომს.

როგორც წერილში იყო ნათქვამი, ამ ადგილის უპირატესობაა ის, რომ ეს არის ზონის ტერიტორიული ცენტრი, საგზაო კვანძი, სადაც მოკლე და კარგი გზებით ჩაის მწარმოებელი კოლმეურნეობები უკავშირდებიან ახალკახათს. შერჩეული ადგილი წარმოადგენს თავისუფალ მასივს, რომელიც მდებარეობს ზუგდიდ-ანაკლიის მოასფალტებული გზატკეცილის პირას. აქ შეიძლება მოთავსდეს ფაბრიკა მთლიანად, ყველა დამხმარე ნაგებობით, ტერიტორიის შუაგულზე გადის პატარა მდინარე, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ფაბრიკის ყველა საჭიროებისათვის. ეს ადგილი ორსასიოდე მეტრით არის დაშორებული ელექტროგადაცემის მაღალი ძაბვის ხაზს.

ჩვენ მოველოდით, რომ კოლმეურნეობის გამგეობის ამ დასაბუთებულ წინადადებას გაითვალისწინებდნენ სათანადო ორგანოები და ჩაის ფაბრიკას ახალკახათში აგვიშენებდნენ, როგორც ამას თავიდან გვპირდებოდნენ. მაგრამ ასე არ მოხდა; ჩვენი თხოვნა რატომღაც უგულებელყვეს და ჩაის ფაბრიკის აშენება გადაწყვიტეს სოფელ კახათის ცენტრში, სადაც ამისათვის შესაფერი ადგილი არ არის. კახათის ცენტრი ისედაც გადატვირთულია საზოგადოებრივი ნაგებობებით, საცხოვრებელი სახლებით.

ჩვენთვის, ახალკახათელებისათვის ეს სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხია. ახალი საწარმოო კოლექტივი სოფლის მშრომელებთან ერთად იზრუნებდა სოფლის კეთილმოწყობაზე. გალამაზდებოდა ახალკახათის ცენტრი, გაჩნდებოდა ახალი კულტურული და საყოფაცხოვრებო დაწესებულებები, ამასთან ჩვენი სოფლის ახალგაზრდობა ადგილზევე იმუშავებდა საწარმოში და არ წავიდოდა სოფლიდან.

გასულ წელს გაზეთებში გამოქვეყნდა ზუგდიდის, გორისა და თელავის რაიონის მშრომელთა მიმართვა რესპუბლიკის ყველა მშრომელისადმი სოფლების კეთილმოწყობის შესახებ. ამ მიმართვაში ნათქვამია, რომ სოციალისტური სოფლის არა მარტო ცენტრი, არამედ მისი ყველა უბანი, ყველა კუთხე თანაბრად კეთილმოწყობილი და განვითარებული უნდა იყოს. ახალკახათელებიც სწორედ ამას მოვითხოვთ და ამაზე ვზრუნავთ, სწორედ ამიტომ გვინდა ჩვენთან აშენდეს ჩაის ფაბრიკა.

სოფლის მშრომელთა სახელით ი. სურგავა, ს. ოდიშარია, გ. თოდუა, დ. შელია და სხვ.".

რედაქციისაგან: ამ წერილთან დაკავშირებით რედაქციამ თავისი წარმომადგენელი მიავლინა ზუგდიდის რაიონში, რათა ადგილზე გასცნობოდა საქმის ვითარებას. ახალკახათელთა საყვედური სოფლის ამ უბნისადმი უყურადღებობის შესახებ სამართლიანია. ისიც სამართლიანია, რომ ამ სოფლელთა განცხადებების საფუძველზე გამოყოფილი კომისია საქმეს გულისხმიერად არ მოეკიდა, როგორც საჭიროა არ ეთათბირა განმცხადებლებს, ღრმად არ ჩასწვდა მათს სურვილსა და საქმის ვითარებას. ამიტომ დასკვნებიც დაუსაბუთებელი და ნაჩქარევი გამოვიდა.

რაც შეეხება კითხვას — სად აშენდეს ჩაის ფაბრიკა — კახათში თუ ახალკახათში? — უნდა გადაწყდეს მხოლოდ საქმის, ადამიანების, კოლმეურნეობის, საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით. დარწმუნებული ვართ, რომ ამ საკითხს სათანადოდ გამოეხმაურებიან და გადაწყვეტენ საქართველოს ჩაის ტრესტი და ზუგდიდის რაიონის ხელმძღვანელები.

## დირჰემები კარტოფილის ნათესში

ძველი არაბული მონეტები გაიფანტა სმოლენსკის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „ვერხოვიეს" კარტოფილის ნათესში მიწის გადახვნის დროს. გუთნის სახნისი წამოედო თიხის ქურჭელს, რომელშიც იყო შვიდასზე მეტი ვერცხლის მონეტი — X და IX საუკუნეების დირჰემები.

განძი სმოლენსკის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მიიტანეს.

# ჩვენს პრე-მპრეში

ბათუმი. (საკ. კორ.). ბათუმის № 20 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა კარგი საჩუქარი მიიღეს. საიუბილეოდ გადაეცა სკოლის ოთხსართულიანი შენობა. სკოლას აქვს ნათელი ფართო საკლასო ოთახები, ლაბორატორიები, სასწავლო კაბინეტები და სხვ.

ახალციხე. (საკ. კორ.). ამ დღეებში საქვაჭრობის ახალციხის განყოფილებამ სადგურის ქუჩაზე გახსნა ორსართულიანი ახალი მაღაზია. შენობის პირველ სართულზეა პურფუნთუშეულის, გასტრონომიის და ხორც-თევზეულის სექციები, ხოლო მეორე სართულზე მოთავსებულია კულტსაქონლის, შეკერილი ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და გალანტერიის სექციები.

მუშათა საყოფაცხოვრებო მომსახურებაში საუკეთესო შედეგების გამოვლინებისათვის ენგურჰესის მშენებლობის გაერთიანებულმა ადგილკომმა ტელევიზორ „ელექტრონით" დააჯილდოვა კაზხალმშენის სამმართველოს კოლექტივი.

ლ. ბარქაია.

## კინემატოგრაფიის წარჩინებულნი

ხაშურის რაიონის კინოქსელის დირექციაში მოვიდა სასიხარულო ცნობა — ხუთმა მოწინავე მუშაკი ხანგრძლივი და საუკეთესო მუშაობისათვის დაჯილდოებულია სამკერდე ნიშნით „სსრკ კინემატოგრაფიის წარჩინებული".

მათ შორის არის ნიკოლოზ ბესტავაშვილი, რომელიც 14 წლის წინათ მოვიდა ხაშურის კინოთეატრში, შეისწავლა კინომექანიკოსის პროფესია და მას შემდეგ წარმატებით ასრულებს თავის მოვალეობას, ამავე დროს ის ემსახურება სოფელ ოსიაურის საკოლმეურნეო კლუბს, რეგულარულად, მაღალხარისხოვნად უჩვენებს ახალ კინოფილმებს. საიუბილეო წლის ათი თვის გეგმა მან 104 პროცენტით შეასრულა.

სამკერდე ნიშნებით დაჯილდოებული არიან აგრეთვე ხაშურის კინოთეატრის ადმინისტრატორი ანა ბოჟაძე, რომელსაც აქ მუშაობის 20 წელი შეუსრულდა, რაიონის კინოქსელის ტექნიკური ხელმძღვანელი ნოდარ ბარბაქაძე, სოფელ ცხრამუხის კინომექანიკოსი გივი სანთელაძე და ავტოკინომოძრავ № 2-ის კინომექანიკოსი გიორგი ფილიშვილი.

დ. ფარემუზოვი.

# კიროვაბადის „დინამო" — უმაღლეს ლიგაში

„ა" კლასის მეორე ჯგუფის სამი უძლიერესი კოლექტივის ასპარეზობაში მთავარმა მეტოქეებმა კიროვაბადის „დინამომ" და ყარაგანდის „შახტიორმა" თანაბარი ქულები (5-5) შეაგროვეს. მათ შორის თუ ვინ მოიპოვებდა მომავალ წელს „ა" კლასის პირველ ჯგუფში გამოსვლის უფლებას, უნდა გადაეწყვიტა ამ გუნდების გუშინდელ დამატებით შეხვედრას ტაშკენტში.

ერთადერთმა ბურთმა, რომელიც გატანილ იქნა მეორე ტაიმში, წარმატება დინამოელებს მოუტანა. ამრიგად, კიროვაბადის „დინამოს" ფეხბურთელთა კოლექტივი მომავალ წელს უმაღლეს ლიგაში გამოვა.

## სპორტული ქრონიკა

ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა თასის გათამაშებაში მოსკოვის „ტორპედოს" მომავალმა მეტოქემ ქ. ტრნავას (ჩეხოსლოვაკია) „სპარტაკმა" მოაწყო საწვრთნელი მატჩი ბრატისლავას ფეხბურთელთა საკლუბო გუნდ „სლოვანთან" და შეხვედრა ფრედ — 3:3 დამთავრა.

მინსკში დაიწყო დამატებითი მატჩი რუსულ შაშში მოსკოველ ლ. აგაფონოვასა და რიგელ ი. ციინეს შორის ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის გამოსავლინებლად ქალთა შორის. მეტოქეებმა უნდა გაითამაშონ 6 პარტია. პირველი პარტია მოიგო ლ. აგაფონოვამ. მეორე — ი. ციინემ. ანგარიშია 1:1.

ბუქარესტში მეგობრული არმიების მოფარიკავეთა ასპარეზობაზე წარმატებით გამოვიდნენ საბჭოთა სპორტსმენები. დაშნით შეჯიბრებაში უძლიერესი იყო ბ. ხაბაროვი, ხმლით ფარიკაობაში — ვ. ნაზლიმოვი.

## მეგობართა მომავალი შეხვედრები

ჩვენს რესპუბლიკაში იწყება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დღეები. ამ ზეიმს აღნიშნავენ სპორტსმენებიც, რომლებიც გამართავენ ოფიციალურ შეხვედრებს კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში, ძიუ-დოში, წყალბურთში, კალათბურთში, ბადმინტონში.

სპორტის მოყვარულებს ვთავაზობთ ამ შეჯიბრებათა კალენდარს:

23 ნოემბერს სპორტის სასახლეში შედგება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საქართველოს მოჭიდავეთა გუნდების მატჩი. პროგრამაშია თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობა, აგრეთვე ძიუ-დო.

27 ნოემბერს ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში გაიმართება გდრ-ისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდების მატჩი ბადმინტონში.

28 ნოემბერს სპორტის სასახლეში ერთმანეთს შეხვდებიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საქართველოს კალათბურთელ ქალთა გუნდები.

29 ნოემბერსა და პირველ დეკემბერს ითამაშებენ გდრ-ისა და საქართველოს წყალბურთელები.

# ფიშერი ფიდეს წინააღმდეგ

ტუნისში ახლახან დამთავრებული საზონათაშორისო ტურნირის შედეგები კვლავ იწვევს საჭადრაკო საზოგადოებრიობისა და ამ უძველესი თამაშის თაყვანისმცემელთა ინტერესს. მრავალრიცხოვან შეკითხვებში განხილულია ამერიკელი გროსმაისტერის რ. ფიშერის არასპორტული საქციელიც. ტურნირზე რ. ფიშერის გამო შექმნილი არანორმალური ატმოსფეროს შესახებ ლაპარაკობს ჩეხოსლოვაკიელი გროსმაისტერი ვ. გორტი. ეს კორესპონდენცია დაბეჭდილი იყო გაზეთ „რუდე პრავოში", საიდანაც შემოკლებით გადმობეჭდა გაზეთმა „ტრუდმა". აი ეს წერილიც.

ახალგაზრდა ამერიკელის თამაშს ტუნისის საზონათაშორისო ტურნირზე ინტერესით ადევნებდა თვალს მთელი საჭადრაკო სამყარო. ბობი თამაშის დროს ძალიან ნერვიულია, ვერ იტანს ხმაურს დარბაზში, ფოტორეპორტიორებს, და ურჩევნია მის მიერ არჩეულ მაგიდაზე ითამაშოს. ამ პატარა „ეშმაკობას" ადვილად უვლიდა გვერდს ყველა, როგორც ტურნირის ორგანიზატორები, ისე მოთამაშეები. ითვალისწინებდნენ იმასაც, რომ რამდენადაც ფიშერი იუდეველთა სარწმუნოებას აღიარებს, ამიტომ შაბათი უნდა დაიცვას, რომელიც პარასკევს იწყება: ამის გამო ყველა პარასკევი ტურნირებზე, რომლებშიც ფიშერი თამაშობს, ტაბუდ გადაიქცა. ყველა მონაწილე თავისუფალ დღეს იღებს, ხოლო მეორე დღეს შეუძლიათ შეხვდნენ ფიშერს, ისიც მზის ჩასვლის შემდეგ, ე. ი. 19 საათზე, მაშინ როდესაც სხვა დანარჩენი პარტიები 16 საათზე იწყება. მაგრამ ეს კიდევ ყველაფერი როდია. ტურნირის ორგანიზატორებს აუარებელი სადავიდარაბო გაუჩნდათ იმის გამო, რომ ებრაული კალენდარი ოქტომბერში წარმოუდგენლად მდიდარია დღესასწაულებით და პარასკევებს ოთხშაბათებიც ემატება.

ამიტომ რეშევსკი და ფიშერი თავის პარტიებს ოთხშაბათის ნაცვლად ორშაბათს თამაშობდნენ, დანარჩენები კი ორშაბათობით დასვენებისა და ექსკურსიების ნაცვლად საჭადრაკო მაგიდასთან სხდებოდნენ.

მოყვანილი ფაქტებით მკითხველი მიხვდება, რომ ტურნირის მთელი პროგრამა და მისი მონაწილენი ხელს უწყობდნენ ფიშერს. ამის გამო სატურნირო ცხრილს ყოველთვის აკლდა ზოგიერთი პარტიის შედეგები, თვით ტურნირი კი, რბილად რომ ვთქვათ, აირდაირია.

წერილში რომელიც ფიშერმა დაწერა, იგი კიცხავს ორგანიზატორებს, ამტკიცებს, ტურნირზე ყველაფერი რიგზე არ იყო, არ ვიცოდი როდის და ვისთან ვთამაშობდიო. შემდეგ მოვლენები სწრაფად განვითარდა. ამჯერად ორგანიზატორები პრინციპულნი აღმოჩნდნენ. ფიშერი სათამაშოდ არ გამოცხადდა და სამოცი წუთის ლოდინის შემდეგ მას წაგება ჩაეთვალა.

საინტერესოა, რომ ფიშერის მოქმედება ტუნისში ამერიკის ელჩის თხოვნის შემდეგაც არ შეცვლილა. ელჩის არგუმენტებზე, თქვენ ამერიკის შეერთებულ შტატებს წარმოადგენთო, ფიშერმა უპასუხა, მე მხოლოდ საკუთარ თავს წარმოვადგენო. იმავე საღამოს იგი სუსიდან გაემგზავრა.

მეორე დღეს ფიშერს რეშევსკისთან უნდა ეთამაშა, რეფერიმ საათი ჩართო, რეშევსკიმ კი მეტოქეს დაუწყო ცდა. ლოდინის დროის გასვლას ხუთი წუთი აკლდა, როცა ფიშერი დარბაზში გამოჩნდა. გაითამაშა ესპანური პარტია და სასტიკად გაანადგურა მოწინააღმდეგე. ფიშერის დაბრუნება ყველა მონაწილემ აღიქვა როგორც სპორტული ჟესტი.

მაგრამ როდესაც ფიშერმა გაიგო, რომ მას უფლებას არ აძლევენ ისევ ითამაშოს გიპსლისთან, რომელთანაც მას წაგება ჩაეთვალა გამოუცხადებლობის გამო მან ორგანიზატორებს (ზოგიერთი მოწმის სიტყვებით) ტუალეტის ქაღალდზე დაწერილი ავი წერილი მისწერა, რომელშიც იტყობინებოდა, რომ არ ეთანხმება გადაწყვეტილებას, რომელიც ფიდეს წესების მე-17 პარაგრაფს ეყრდნობოდა, და არ მიიღებს მონაწილეობას ტურნირში. მისი მუქარა მონაწილეებმა სერიოზულად არ მიიჩნიეს, თვლიდნენ, რომ თუ იგი ერთხელ დაბრუნდა, ტურნირს დაამთავრებდა.

სწორედ ამ დღეს მას ჩემთან უნდა ეთამაშა. ფიშერი არ გამოცხადდა, მას კვლავ წაგება ჩაუთვალეს. ამავე საღამოს მან დატოვა სუსა.

თავი დავანებოთ საკითხს, შეუძლია თუ არა ფიშერს, როგორც ამბობენ, ორი ქულა ფორა მისცეს მოწინააღმდეგეებს ტურნირში. სამაგიეროდ მის მეტოქეებს შეუძლიათ სპორტული საქციელის გაკვეთილი მისცენ მას. ასევე საკამათოა როგორ აპირებს ფიშერი შემდგომ ტურნირებში მონაწილეობას. უთამაშოდ ჯერ ხომ არავინ გამხდარა ჩემპიონი? როგორც ჩანს, ყოველი ტურნირის წინ საჭიროა მკაცრი ხელშეკრულების დადება, რომელიც გაითვალისწინებს ან მოსთხოვონ მას 2.000 დოლარი საწინდარი, რომელსაც დაუბრუნებენ ყველა პარტიის თამაშის შემდეგ, ან ყველასათვის სავალდებულო არსებული წესის პირველივე დარღვევის შემთხვევაში ფიშერი მოხსნილი იქნება ტურნირიდან. ასეთია ტურნირის მონაწილეთა აზრი.

რას იტყვის ყოველივე ამაზე ფიდე?


გამოიწერეთ, იკითხეთ გაზეთი



კომუნისტი

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს პრესის გავრცელების სამმართველოს „სოიუზპეჩატი" იუწყება, რომ გაზეთ „კომუნისტზე" ხელმოწერა 1968 წლისათვის შეწყდება 25 ნოემბერს

„სოიუზპეჩატი".


## ტელევიზია

**22 ნოემბერი**

10.00 — კინონარკვევები, 10.40 — საბჭოთა კინოს ისტორიიდან— კინოკომედია „მხიარული ახალგაზრდობა", 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — ოქტომბრელთათვის — „გაბედული ფოტომონადირე", 18.15 — კინონარკვევი, 18.30 — „მოწინავე გამოცდილების სკოლა" — „როგორ მოგვყავს მარცვლეულის უხვი მოსავალი" — (სტუდიაში — თეთრი წყაროს რაიონის სოფელ კოდის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ყ. ბაჯიაშვილი), 18.50 — გადაცემა „მე მიცავს ჩემი მილიცია", 19.50 — კინონარკვევი, 20.00 — საბჭოთა კავშირის პირველობა ჰოკეიში — ცსკა — „სპარტაკი" (გადმოცემა მოსკოვიდან), შესვენების დროს — „ახალი ამბები" (ქართულ და რუსულ ენებზე), 22.30— საბჭოთა კინოს ისტორიიდან — კინოკომედია „მხიარული ახალგაზრდობა".

**მეცხრე არხით** — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. 17 ს. 45 წ.

**23 ნოემბერი**

17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — ოქტომბრელთათვის — „ჩვენ ინგლისურს ვსწავლობთ", 18.20 — ყველაზე პატარებისათვის — „იყო და არა იყო რა" — ირლანდიური ზღაპარი „ორი ბოთლი", 18.40 — განცხადებები. 18.45 — კინონარკვევი, 18.55 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „უცხო ენების პედაგოგიური ინსტიტუტი", 19.40 — კინონარკვევი, 19.50 — სატელევიზიო ჟურნალი „მუსიკის სამყაროში", 20.50 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 21.10 — ჩეხოსლოვაკიური მხატვრული ფილმი „მორისვილის ციხის აჩრდილი", 22.40 — გადაცემათა პროგრამა 24 ნოემბრისათვის, 22.45 — ხელოვნების ოსტატები — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ბ. ლიეპაიტე? (გადმოცემა მოსკოვიდან).

**მეცხრე არხით** — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა 17 საათსა და 45 წუთიდან

## თეატრები

**22 ნოემბერი**

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ჯვადი ბიჭი. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — მომავალ შეხვედრამდე, ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — სილვა, მოზარდ მაყურებელთა ქართული — თერგის ჩქერებზე (№ 31 აბონ. საღ. 6 ს.).


ჩაი ვსვათ. ჩაი მოვიყვანოთ


გაზეთ „კომუნისტის" მორიგი ნომერი გამოვა პარასკევს, 24 ნოემბერს

რედაქტორის მოადგილე
ბ. თათარიშვილი.


კომუნისტი | თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 9-03-09, პ/მ მდივნის — 9-72-80 სამდივნოსი — 9-66-10 განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61 პროპაგანდის — 3-22-93, მრეწველობის — 3-20-34, სოფლის მეურნეობის — 9-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 3-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 3-27-58 ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-35-01, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 9-78-24 ილუსტრაციის — 3-28-54, განცხადებების — 3-93-96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 04263 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.